პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 177 (19618) ◆ შაბათი, 2 აგვისტო, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი სამუშაო წინ არის

შორეულ აღმოსავლეთში მ. ს. გორბაჩოვის მოგზაურობამ, რომელიც ეს-ეს არის დამთავრდა, განსაზღვრა ერთიანი სახელმწიფო რეგიონალური პოლიტიკის ფარგლებში მხარის გრძელვადიანი განვითარების პრინციპული კონცეფცია. ეთათბირება რა ხალხს, პარტია ირჩევს ყველაზე ქმედით ღონისძიებებსა და საშუალებებს, რომელთა გამოყენება მნიშვნელოვნად გაზრდის შორეული აღმოსავლეთის წვლილს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალში. მზად არიან თუ არა თავად შორეულაღმოსავლეთები დაიჩქარონ გარდაქმნის ტემპი? დიახ, მზად არიან. ასე მთელი მუშური პირდაპირობით უთხრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ვლადივოსტოკელმა მებადურებმა, მურის კომსომოლსკელმა ავიამშენებლებმა და გემთმშენებლებმა, ნახოდკელმა ნავსაგურის მუშაკებმა, ხაბაროვსკის მხარის სოფლის მშრომელებმა. პარტიის ხელმძღვანელთან მრავალრიცხოვანმა შეხვედრებმა, გულახდილმა, საქმიანმა საუბარმა შექმნა აქ ატმოსფერო, რომელიც საჭიროა მასშტაბური გადაწყვეტილებების მიღებისათვის, ყოველივე იმის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლისათვის, რაც ხელს გვიშლის უფრო სწრაფ წინსვლაში.

ჩვენ ვხედავდით, როგორ ესწრაფოდნენ გულახდილ საუბარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან უბრალო ადამიანები — მეზღვაურები და მშენებლები, მოსწავლეები და დიასახლისები. არც ერთი შეხვედრა არ ჰგავდა მეორეს. რის შესახებაც უნდა ყოფილიყო საუბარი, იქნებოდა ეს მოსავლის აღება თუ ქალაქის სურსათით მომარაგება, საბინაო მშენებლობა თუ ბავშვის ტანსაცმლის ხარისხი — ყველა ისინი მიზნად ისახავდნენ იმას, რომ გაეგოთ ადამიანების განწყობილება, მოთათბირებოდნენ მათ, გადაეწყვიტათ, თუ უკეთ როგორ შეიძლება საქმის წარმართვა. სკკპ ვლადივოსტოკის პირველმა მდივანმა ლ. ეგოროვამ პირდაპირ გვითხრა: გარდაქმნის ბედი, რომელიც დაიწყო ქვეყნის საქმეებშიც და ადამიანთა სულშიც, ახლა კომუნისტთა ხელშია. და საქმის წარმატებაც, ვფიქრობ, დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად სწრაფად შეძლებენ ყველა რგოლის პარტიული წინამძღოლები თავიანთ ორგანიზაციებს მიზნად დაუსახონ დღის საკვანძო ამოცანების გადაწყვეტა, ხატოვნად რომ ვთქვათ, რამდენად სწრაფად შეძლებენ ისინი გადაიტანონ გარდაქმნის საბრძოლო ტაბებად.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, სად უნდა იყოს ასეთი შტაბი. ჩვენ კომუნისტ ლ. ეგოროვას ვესაუბრეთ არა რაიკომის კაბინეტში, არამედ მშენებელთა ვაგონში, რომლებიც აგებენ ქალაქის ახალ მიკრორაიონს. ხვალ პერვორეჩენსკის მდივნის კარზე შეიძლება დაიწეროს „ყველა წვიდა რძის ქარხანაში“, კიდევ ერთი კვირის შემდეგ კი — „ყველა პლაჟზეა“... არა, მზის მოსაკიდებლად კი არა, ამურის ყურეში ზაფხული ჯერ არ დამდგარა, არც დასასვენებლად სცალიათ რაიონის კომუნისტებს. მათ გადაწყვიტეს კეთილმოწყობილ დასასვენებელ ზონად გადააქციონ წყნარი ოკეანის მშვენიერი სანაპიროს ათობით კილომეტრი. უფრო სწორად იგი მშვენიერი გახდება, ოღონდ ხელის გამოღებაა საჭირო. კეთილმოწყობის გეგმებში დაწვრილმანება არ ვარგა.

პლაჟიც, ბავშვის ფეხსაცმლის ახალი მოდელებიც, შორეული აღმოსავლეთის პირველი მეტროპოლიტენის პროექტიც, მეზღვაურთა ახალი კლუბიც — ყოველივე ეს გადაწყვეტილი ფრონტის ფლანგებია, სკკპ XXVII ყრილობის დოკუმენტებში სოციალური პროგრამა რომ ეწოდება. პროგრამა, ურომლისოდაც შეუძლებელია მთელი ჩვენი ცხოვრების გარდაქმნა.

— გარდაქმნა, რომელიც პარტიამ დაუსახა მთელ ხალხს, უწინარეს ყოვლისა თითოეული ჩვენგანის გარდაქმნაა. ეს უაღრესად მკაცრი შეფასებაა იმისა, რა გაკეთე, და შეჯერებაა იმასთან, რისი უნარიც შეგეწევა, — მიაჩნია ხაბაროვსკის მახლობლად მდებარე საბჭოთა მეურნეობა „კრასნორეჩენსკის“ დირექტორს ლ. მაზლინს.

საუბარი შემთხვევით როდი შეეხო თემას, რომელიც ახლა ყოველ შეგნებულ მშრომელს აწუხებს: მეურნეობაში ემზადებოდნენ მ. ს. გორბაჩოვის ჩამოსვლისათვის. თუმცა ამას არც ერთი წუთით არ დაურღვევია საამქროებში დასაქმებული ასობით ადამიანის ჩვეულებრივი სამუშაო განრიგი.

დიახ, სწორედ საამქროებში, — რადგან საბჭოთა მეურნეობა აწვდის, თანაც ნიადაგ მზარდი მოცულობით, შორეული აღმოსავლეთის ერთ-ერთ უდიდეს სამრეწველო ცენტრს რძეს, ბოსტნეულს, ხორცს და ისეთივე ნაზუსტით მოქმედებს, როგორც კარგი საქარხნო წარმოება. ეს არის სწორედ ინდუსტრიული ტექნოლოგია სოფლად. იგი აქ ყველაფერს მოიცავს: მინდვრების სრულყოფილ დაშუშაებას და შრომის ორგანიზაციას, ტრანსპორტის უნარიან გამოყენებას და რიტმულ მშენებლობას.

აი მაგალითი: ტრადიციული, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ნამორჩენილი შრომის ორგანიზაცია ხელს უშლიდა ნამდვილი სამეურნეო ანგარიშის დანერგვას, და აქ უყოყმანოდ უარყვეს იგი. აღარ არის მეურნეობაში მცირერიცხოვანი ბრიგადები, სამგიეროდ არის მძლავრი გამსხვილებული საამქროები: მეცხოველეობის, მემცენარეობის, მექანიზაციის... თითოეულს სათავეში უდგას სპეციალისტი, რომელსაც მთლიანად მიანდეს საქმე.

რაღა რჩება დირექტორს?

— ეკონომიკური პოლიტიკა, გაასღება, სოციალური სფერო, — გვიპასუხა ლ. მაზლინმა. — და, რა თქმა უნდა, სწავლა. როცა ახალ ამოცანებს წყვეტ, გზადაგზა უნდა ისწავლო კოდეკი, არ უნდა გაშინოდეს იკისრო მთელი პასუხისმგებლობა, ზოგჯერ კი რისკიც გასწიო.

საქმის მასშტაბზე შეიძლება იმსჯელო დირექტორის სამუშაო კაბინეტში მოქმედებს, როგორც კარგი საქარხნო წარმოება. ეს არის სწორედ ინდუსტრიული ტექნოლოგია სოფლად. იგი აქ ყველაფერს მოიცავს: მინდვრების სრულყოფილ დაშუშაებას და შრომის ორგანიზაციას, ტრანსპორტის უნარიან გამოყენებას და რიტმულ მშენებლობას.

აი მაგალითი: ტრადიციული, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ნამორჩენილი შრომის ორგანიზაცია ხელს უშლიდა ნამდვილი სამეურნეო ანგარიშის დანერგვას, და აქ უყოყმანოდ უარყვეს იგი. აღარ არის მეურნეობაში მცირერიცხოვანი ბრიგადები, სამაგიეროდ არის მძლავრი გამსხვილებული საამქროები: მეცხოველეობის, მემცენარეობის, მექანიზაციის... თითოეულს სათავეში უდგას სპეციალისტი, რომელსაც მთლიანად მიანდეს საქმე.

საამქროებში ყოველგვარი შრომა სასაბიოა. მაგრამ არ შეიძლება არ ვაღიაროთ, აღნიშნეს ორატორებმა, რომ ვაჭრობის მუშაკთა შრომის ორგანიზაციასა და ანაზღაურებაში, დაგეგმვის სისტემაში ობიექტურად არსებული ნაკლოვანებები პროგოკაციულად იწვევს უშრომელი შემოსავლის მიღებას. გარდაქმნა დაჟინებით მოითხოვს შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სრულყოფას, ისეთი პროგრესული ფორმების დანერგვას, როგორიც არის ბრიგადული იჯარა და სამეურნეო ანგარიში. სამომხმარებლო კოოპერაციის სფეროში ეს საშუალებას მოგვცემს, გზა გადავუღობოთ უშრომელი შემოსავლის მიღებას. გარდაქმნის მაგალითს გვიჩვენებენ გორის რაიკოოპერატივის მეჯვრისხევის სავაჭრო ცენტრში და ცეკავშირის მთელ რიგ სხვა ობიექტებში. მისი კოლექტივის შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვის შედეგად გაჯყიდველთა ხელფასმა თვეში სამას მანეთს გადაამეტა. პატიოსანი და კეთილსინდისიერი შრომა ასმაგად ნაზღაურდება. და არა მარტო მანეთით. ამ სავაჭრო ცენტრის სექციის გამგეს ლ. ბიბილაშვილს მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ლენინის ორდენი მიენიჭა.

უმაღლესი სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით უდგება საზოგადოება იმათ, ვინც უშრომელი შემოსავლით ცხოვრობს, ვინც უპირისპირდება პატიოსან და კეთილსინდისიერ მშრომელებს. მაგალითად, ასე მიუდგნენ ცეკავშირის საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს ყოფილ რევიზორს ნარინდოშვილს. დიდი ქრთამის აღებისათვის მას ხანგრძლივი ვადით თავისუფლება აღკვეთა მიესჯა. მისი ბედი გაიზიარეს დანარჩენმა მექრთამეებმა, მაქინატორებმა და სხვა ანტიპოდებმა, რომლებიც ერთ დროს პარაშუბდნენ რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში.

ნეგატიური ტენდენციების მატარებლების წინააღმდეგ გამწვავებულმა ბრძოლამ აიძულა ისინი მიჩქმალულიყვნენ, მოკალათებულიყვნენ, დემაგოგიური ლოზუნგებით შეიღებულიყვნენ. მაგრამ მათ ვერაფერი უშველის. ადრე თუ გვიან ყველა მათს დანაშაულებრივ მოქმედებას ამხელენ და საზოგადოება უშეღავათოდ მოჰკითხავს მათ. ასე მოუვიდათ ასკილის გადამუშავების დროს განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების დატაცების ორგანიზატორებს და მონაწილეებს, რომლებმაც დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია.

(დასასრული 3ე-ე გვ.).

ვიზიტი

გრძელდება

31 ივლისს თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თ. ოზალი კვლავ ეცნობოდა უზბეკეთს.

ტაშკენტში სტუმარმა გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

სამარყანდში მან დაათვალიერა ამ უძველეული ქალაქის ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები.

იმავე დღეს თურქეთის მთავრობის მეთაური და მისი მეუღლე სამარყანდიდან ლენინგრადში გაემგზავრნენ.

* * *

საღამოს თ. ოზალი მეუღლითურთ ლენინგრადში ჩავიდა.

გამარჯვების მოედანზე სტუმარმა დაათვალიერა და ყვავილებით შეამკო ქალაქის გმირ დამცველთა მონუმენტი.

საღმრთო გამოაჩინა



კომუნისტი პეტრე მარუაშვილი 12 წელია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში მუშაობს. 1982 წელს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ცვლის უფროსად დაიწინაურეს. ბეჯითი მეტალურგი ქარხანაში პატივისცემითა და კარგი ავტორიტეტით სარგებლობს.

ა. სააკოვის ფოტო.

ოქრო წლის გეგმა — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის

მუშური ინიციატივის საფუძველზე

რესპუბლიკის საწარმოებში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება შეჯიბრება შრომის ეფექტიანობის, წარმოების ინტენსიფიკაციის ზრდისათვის. საწარმოების კოლექტივები კისრულობენ ვალდებულებებს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის შეასრულონ ხუთწლედის ორი წლის გეგმა.

— დაჩქარება, ინტენსიფიკაცია ჩვენს დროში არა მარტო ეკონომიკური, არამედ მორალური კატეგორიაც არის, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანების კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა ბორის ქინქლაძემ. — ცხოვრების ტემპი უფლებას არ გვაძლევს დავჯერდეთ მიღწეულს. ჩვენმა ბრიგადამ გადაწყვიტა ვადამდე, მომავალი წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულოს ორი წლის დავალება. ბევრი რეზერვის იმედი გვაქვს, კერძოდ, ჩარხების, აგრეგატების საამქრო მუშაობისა. ახლა ათი მოცდენები ჩვენთან პრაქტიკულად გამორიცხულია.

ამ დღეებში საამქროს ეკონომისტებთან ერთად გამოვიანგარიშეთ, რომ, თუ არ შევანელებთ წლის დამდეგიდან აღებულ ტემპს და დავიცავთ მაკომპლექტებელი ნაწარმით შეუფერხებელ უზრუნველყოფას, შეეძლები ყოველთვიური დავალებანი 2-3 დღით ადრე შეეასრულოთ.

აი, როგორ ესმის დაჩქარების არსი ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ზეინკალს ბუხუტი ფურცვანიძეს:

— საბოლოო ანგარიშით ყველაფერს პასუხისმგებლობა წყვეტს. ახლა არავის არა აქვს უფლება იმუშაოს უბრალოდ იმისათვის, რომ დღე გაიჭიანოს, წინათ, როგორც წესი, ბრიგადაულ ვალდებულებებს ვკისრულობდით. კოლექტივისათვის საერთო ციფრებს მილმა ხშირად უქნარები იმალებოდნენ. ახლა თითოეულს პირადი გეგმა აქვს, რომელიც გამოკრულია კოლექტიური გეგმის გვერდით. ყოველდღიურად აღირიცხება ცვლის დავალებათა შესრულება. ასე რომ, ყველა ხედავს, როგორ მუშაობ. ეს დისციპლინას აჩვევს ადამიანებს.

ჩვენ ვამზადებთ კაზ-4540 მარკის ავტომობილების საბრუნი წრის შტამპების კომპლექტებს. აკეთებისეთ აგრეთვე ფართო მოხმარების საქონლისათვის შტამპების კომპლექტების წარმოება. ჩვენი მოწინავეები გ. ბარამიძე, გ. კიწურაშვილი, ე. ავაქიანი, ა. შარაშენიძე, შ. თევზაძე, სხვები უკვე სექტემბერ-ოქტომბრის ანგარიშში მუშაობენ. ასე რომ, სამაგალითო ადამიანები გვყავს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მკაცრად დავიცვათ მიწათსარგებლობის წესები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი რესპუბლიკაში მიწის კანონმდებლობისა და მიწათსარგებლობის წესების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში უხეშად არღვევენ მიწათსარგებლობია წესებს. მარტო გასულ ხუთწლეულში გამოვლინდა მიწის კანონმდებლობის დარღვევის 9 ათასზე მეტი შემთხვევა.

ზოგიერთი ორგანიზაცია და დაწესებულება კანონის გვერდის ავლით იკავებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კუთვნილ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, აშენებს იქ სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებს, ხოლო ადგილობრივი საბჭოები ხელს უწყობენ დაჭრეველებას.

ზოგიერთი სამინისტრო და უწყება უპასუხისმგებლოდ ეკიდება მიწების რეკულტივაციის საქმეს.

რესპუბლიკაში არადამაკმაყოფილებლად წარმოებს მიწების აღრიცხვა. ბევრ მეურნეობაში მოძველებულია საგეგმო-კარტოგრაფიული მასალები. არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ მიწის კადასტრის დამტკიცებისა და შემოღების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, ყველა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებებს დაავალა განაზორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა საზოგადოებრივ მეურნეობებს დაუბრუნდეთ უკანონოდ გაცემული, მიტაცებული და მითვისებული მიწები და გადაწყდეს უნებართვოდ და უპროექტოდ აშენებულ შენობა-ნაგებობათა საკითხი.

რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტს დაევალა შეისწავლოს სისტემის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, აგროსამრეწველო გაერთიანებათა და მეურნეობების მიწათმმოწყობთა კადრებთან უზრუნველყოფის საკითხი და შეიმუშაოს ღონისძიებანი მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებლად; საქართველოს სსრ მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტთან ერთად რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში შემოიღოს მიწის კადასტრი და უზრუნველყოს მისი გამოყენება.

რესპუბლიკის სახმშენს დაევალა ჯეროვანი კონტროლი დაუწესოს სპროექტო ორგანიზაციების მიერ ქალაქების, დაბების, კოტრორტებისა და დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმების შედგენას იმ ვარაუდით, რომ მათი შემდგომი განვითარება ძირითადად ნაკლებად პროდუქტიული სავარგულების ხარჯზე განხორციელდეს.

მიწათსარგებლობის წესების დარღვევისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა საზოგადოებრივი მიწების უკანონოდ გაცემა, მიტაცება, ამ მიწებზე ორგანიზაციათა-დაწესებულებათა სხვადასხვა ობიექტისა და მოქალაქეთა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების უკანონოდ აგება, ლენინგორის, გარდაბნის, მახარაძის, ზნაურის, მარნეულის, წულუკიძის, ზუგდიდის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები ამხანაგები მარგიანი, დამიროვი, ჟღენტი, ტოტოევი, გრიგორიანი, ყალანდაძე, კუტალია, ქობულეთის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ამხ. გოგოლიშვილი მკაცრად იქნენ გაფრთხილებული.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს დაეკალა კოლეგიის სხდომაზე განიხილოს საზოგადოებრივი მიწების განაკვეთებისათვის ზნაურის რაიონის ბეყმარის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის კოზაევის, ამავე რაიონის ნულის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის აღბოროვის, ქობულეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მგრელიძის, ლენინგორის, საბჭოთა მეურნეობის ყოფილი და ახლანდელი დირექტორების ქურთაულისა და ჩოჩელის, წულუკიძის მერძეველობის, საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის დირექტორის კირთაძის, ზუგდიდის რაიონის რძის საწარმოს დირექტორის ჭიჭინაძის პასუხისმგებლობის საკითხი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკალა საზოგადოებრივი მიწის მიტაცებისა და უკანონო მშენებლობის გამო განიხილოს ზნაურის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის თანამდებობაზე კაბოლოვის შემდგომი მუშაობის საკითხი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში დასახულია სხვა კონკრეტული ღონისძიებებიც, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს რესპუბლიკაში მიწათსარგებლობის წესების განუხრელ დაცვას.

(სსრკინფორმი).

ომთხოვნელობით, უშეღავათოდ

სკკპ XXVII ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნდა გაიზარდოს პატიოსანი, დიდნაყოფიერი შრომის ავტორიტეტი, გაძლიერდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლი შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი. სოციალური სამართლიანობის პრინციპის დამკვიდრებაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში გაჩაღებული ბრძოლა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ამოცანები უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების დარგში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის 1986 წლის 26 ივლისის აქტივის კრების მოთხოვნათა შესაბამისად განხილეს ცეკავშირის აქტივის კრებაზე.

კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

პარტიისა და მთავრობის მიერ მუქთახორების, სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების, მექრთამეების, იმათ წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებანი, ვინც დაადგა ჩვენი წყობილების შრომითი ბუნებისათვის უცხო გზას, აღნიშნეს ორატორებმა, დროულია, მათ ერთსულოვნად უმერენ მხარს და მხურვალედ იწონებენ რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი. რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის სფეროში ამ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა ბოლო დროს შესამჩნევად გააქტიურდა, მწვავე და უკომპრომისო ხასიათი შეიძინა. მაგრამ იგი შემდგომ გააქტიურებას, მასში უძლებოვ ყველა მუშაკის ჩაბმას საჭიროებს.

საკონტროლო ორგანოების შეგონებები ცხადყოფს, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ჯერ კიდევ გავრცელებულია მომხმარებელთა ზომა-წონასა და ხარისხში მოტყუება, საქონლის ფასების ხელოვნურად მომატება, ხელოვნურად მისი დეფიციტის შექმნა. სოციალისტური საკუთრების დატაცებამ დიდი ბაღაბები შეიძინა, საქმისნები მნიშვნელოვან ფულად სახსრებს იტაცებენ. ეს მნიშვნელოვანწილად განპირობებულია უხეში შეცდომებით საკადრო პოლიტიკაში. მუშაობას კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილებისათვის არ შეუძენია სისტემური და მიზანმიმართული ხასიათი. ამის შედეგად დარგში აღმოფხვრილი არ არის პროტექციონიზმი, ნათლიმამობით ისეთ პირთა დანიშვნისა და სამუშაოზე მიღების შემთხვევები, რომლებმაც თავი შეირცხვინეს წინანდელ სამუშაოზე.

მაგალითად, თეკოლის რაიკოოპერატივის რესტორან „გოდოგანში“ ასეთი ადამიანები უმრავლესობას შეადგენდნენ. ისინი გაერთიანდნენ დანაშაულებრივ ჯგუფებად და არღვევდნენ ნორმებს. რესტორნის შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ მთელი საქონელი, თამბაქოს ნაწარმი იქნება ეს თუ სასურსათო პროდუქტები, უფაქტურო იყო. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო — ამ ობიექტის ბევრი მუშაკი ხომ მანამდე ნასამართლეები აღმოჩნდა, სახელი გაიტეხა ვაჭრობაში მუშაობის დროს. როგორც ირკვევა, კადრების შერჩევის ამგვარი მანკიერი პრაქტიკა დამახასიათებელი ყოფილა რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის სხვა სავაჭრო ობიექტებისათვის.

სოციალური სამართლიანობის პრინციპების დარღვევა მახნჯ მოვლენებს იწვევს. მაგალითად, როცა სოფლის დუქნის გამყიდველის სახლი მნიშვნელოვნად სჯობს და უფრო დიდია, ვიდრე წარმოების მოწინავის ან მასწავლებლისა. იმათ ცხოვრების წესს ზეგავლენით, ვინც თავის კეთილდღეობას უშრომელი შემოსავლით მოიპოვებს, მერყეები პიროვნებები კარგავენ სოციალური სამართლიანობის რწმენას, ცდილობენ რაც შეიძლება მეტი წაგლიჯონ საზოგადოებას და რაც შეიძლება ნაკლები მისცენ მას.

სოციალისტურ საზოგადოებაში ყოველგვარი შრომა სასაბიოა. მაგრამ არ შეიძლება არ ვაღიაროთ, აღნიშნეს ორატორებმა, რომ ვაჭრობის მუშაკთა შრომის ორგანიზაციასა და ანაზღაურებაში, დაგეგმვის სისტემაში ობიექტურად არსებული ნაკლოვანებები პროვოკაციულად იწვევს უშრომელი შემოსავლის მიღებას. გარდაქმნა დაჟინებით მოითხოვს შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სრულყოფას, ისეთი პროგრესული ფორმების დანერგვას, როგორიც არის ბრიგადული იჯარა და სამეურნეო ანგარიში. სამომხმარებლო კოოპერაციის სფეროში ეს საშუალებას მოგვცემს, გზა გადავუღობოთ უშრომელი შემოსავლის მიღებას. გარდაქმნის მაგალითს გვიჩვენებენ გორის რაიკოოპერატივის მეჯვრისხევის სავაჭრო ცენტრში და ცეკავშირის მთელ რიგ სხვა ობიექტებში. მისი კოლექტივის შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვის შედეგად გაჯყიდველთა ხელფასმა თვეში სამას მანეთს გადაამეტა. პატიოსანი და კეთილსინდისიერი შრომა ასმაგად ნაზღაურდება. და არა მარტო მანეთით. ამ სავაჭრო ცენტრის სექციის გამგეს ლ. ბიბილაშვილს მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ლენინის ორდენი მიენიჭა.

უმაღლესი სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით უდგება საზოგადოება იმათ, ვინც უშრომელი შემოსავლით ცხოვრობს, ვინც უპირისპირდება პატიოსან და კეთილსინდისიერ მშრომელებს. მაგალითად, ასე მიუდგნენ ცეკავშირის საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს ყოფილ რევიზორს ნარინდოშვილს. დიდი ქრთამის აღებისათვის მას ხანგრძლივი ვადით თავისუფლება აღკვეთა მიესჯა. მისი ბედი გაიზიარეს დანარჩენმა მექრთამეებმა, მაქინატორებმა და სხვა ანტიპოდებმა, რომლებიც ერთ დროს პარაშუბდნენ რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში.

ნეგატიური ტენდენციების მატარებლების წინააღმდეგ გამწვავებულმა ბრძოლამ აიძულა ისინი მიჩქმალულიყვნენ, მოკალათებულიყვნენ, დემაგოგიური ლოზუნგებით შეიღებულიყვნენ. მაგრამ მათ ვერაფერი უშველის. ადრე თუ გვიან ყველა მათს დანაშაულებრივ მოქმედებას ამხელენ და საზოგადოება უშეღავათოდ მოჰკითხავს მათ. ასე მოუვიდათ ასკილის გადამუშავების დროს განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების დატაცების ორგანიზატორებს და მონაწილეებს, რომლებმაც დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია.

(დასასრული 3ე-ე გვ.).

რამდენიმე დღეა საქართველო მასპინძლობდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს იოზეფ ლენარტს, რომელიც დასასვენებლად იმყოფება საბჭოთა კავშირში.

ჩვენს რესპუბლიკაში ყოფნის დროს ი. ლენარტმა დაათვალიერა თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ეწვია კომკავშირულ ქალაქს ბორის ძნელაძეს, საზეიმო რიტუალების სასახლეს, საქართველოს ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმებს. ჩეხოსლოვაკიელმა სასატიო სტუმარმა იმოგზაურა მცხეთასა და გორში, თელავში, დაათვალიერა მეურნეობები, შეხვდა სოფლის მშრომელებს.

* * *

31 ივლისს ი. ლენარტი გაფრინდა ბაკოში. თბილისის აეროპორტში იგი გააცილეს ამხანაგებმა ჯ. ი. პატიაშვილმა, ბ. ვ. ნიკოლსკმა, ო. ე. ჩერქეზიამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ რ. ი. გოგლიძემ.

(სსრკინფორმი).

საქართველოს გაეცნო

პუბლიკის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს იოზეფ ლენარტს, რომელიც დასასვენებლად იმყოფება საბჭოთა კავშირში.

ჩვენს რესპუბლიკაში ყოფნის დროს ი. ლენარტმა დაათვალიერა თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ეწვია კომკავშირულ ქალაქს ბორის ძნელაძეს, საზეიმო რიტუალების სასახლეს, საქართველოს ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმებს. ჩეხოსლოვაკიელმა სასატიო სტუმარმა იმოგზაურა მცხეთასა და გორში, თელავში, დაათვალიერა

ᲛᲝᲛᲗᲮᲝᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲣᲨᲔᲚᲐᲕᲐᲗᲝᲓ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ეს და სხვა გახმაურებული საქმეები რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში, ზაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა, მოწმობს საუწყებო კონტროლის საქმიანობის ზერელე ხასიათს. ზოგჯერ შემოწმებები არ ემსახურება პროფილაქტიკურ მიზნებს, არ აკეთებს მიზეზებს და პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს სხვადასხვა დარღვევებსა და პოროტმოქმედებას. კვლავინდებურად მწვავედ დგას სამომხმარებლო კოოპერაციის რეგიონორთა კადრების საკითხი. აქტივის კრების მონაწილეებმა თქვეს, რომ მიზანშეწონილია მოვამზადოთ ისინი იმ ახალგაზრდობიდან, რომელიც მაპროფილებელ უმაღლეს სასწავლებლებში იგზავნება.

სხვა პრობლემებს შორის აქტივის კრებაზე დაასახელეს ცეკავშირის ობიექტების სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჩამორჩენა სოციალური პროგრამის რეალიზაციაში, სისტემის მშრომელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების ნაკლოვანებანი. მათი გადაჭრა კომპლექსურ საფუძველზე გათვალისწინებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და ცენტროსოიუზის მიერ ახლახან მიღებულ ერთობლივ დადგენილებაში. ამ დოკუმენტმა დასაბამი მისცა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მთელი საქმიანობის გარდაქმნას, რაც განპირობებულია სოფლის მეხოვრებთა საკარმიდამო ნაკვეთებსა და მებაღეობა-მებოსტნეობის ამხანაგობების ნაკვეთებზე მოწეული სოფლის მეურნეობის ჭარბი პროდუქტების დამზადებისა და რეალიზაციის დარაში მისთვის სახაგრომრეწვის ფუნქციების გადაცემით.

კოოპერატორების აქტიურ ამოცანაა ხილბოსტნეულით რესპუბლიკის მოსახლეობის უზრუნველყოფის გაუმჯობესება, ამ საფუძველზე ბაზრის ფასების შემცირება. ამიტომ უნდა ვიღაწოთ სისტემის ყველა მშრომელის საქმიანობის სრულყოფისათვის, საქმეში რეზერვების ჩაბმისათვის.

მთავარი მათგანია ადამიანის ფაქტორი. კონკრეტულ შემსრულებლებზე, მათს პატიოსნებასა და პასუხისმგებლობაზე, ორგანიზებულობაზე დამოკიდებულია დაწყებული გარდაქმნის წარმატება ეს რთული პროცესია, იგი მოითხოვს სერიოზულ და პასუხსმგებლურ გადაწყვეტილებებს, გააზრებულ მოქმედებას. უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩირქი არ მოვცხოთ იმათ, ვინც პატიოსნად შრომობს თითოეული მანეთის მისაღებად, ამასთან ემსახურება საზოგადოებას, გავზარდოთ ამ მშრომელთა ავტორიტეტი.

სწორედ ასეთი უნდა იყოს სკკპ XXVII ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის დიდი და მრავალშრანიანი მუშაობის ფონი. საქართველოს კოოპერატორები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებთან ერთად წყვეტენ მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის გამიზნული სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დიდმნიშვნელოვან ამოცანებს. ამის უცილობელი პირობა სოციალისტური კანონიერების განუხრელი დაცვა, სოციალისტური სამართლიანობის ურყევი პრინციპების დამკვიდრება. განხილულ საკითხზე კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, გ. დ. მგელაძე, ტ. ვ. როსტიაშვილი და თ. ი. მოსაშვილი. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲤᲝᲗᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს კომპარტიის **ფოთის** საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა **ბ. დ. გულუა** პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის და ბიუროს წევრის მოვალეობისგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია **პ. შ. ბერაია,** რომელიც პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **გ. ა. ანჩაბაძემ.**

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს კომპარტიის **ონის** რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა **კ. ი. ბაჭრაძე** პარტიის ონის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

პარტიის ონის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია **დ. პ. მეტრეველი,** რომელიც ონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ნ. ა. ჭითანავამ.**

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სესიამ გაათავისუფლა **დ. პ. მეტრეველი** ონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისგან საქართველოს კომპარტიის ონის რაიკომის პირველ მდივნად არჩევასთან დაკავშირებით.

ონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია **რ. ჯ. ნოდარიშვილი,** რომელიც ონის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ნ. ა. ჭითანავა.**

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲬᲐᲚᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ წალკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სესიამ გაათავისუფლა **ნ. ს. ოსეფაშვილი** წალკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

წალკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებლად არჩეულია **ფ. ს. ჩიტლაძე,** რომელიც წალკის რაიონის პროკურორად მუშაობდა.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲓᲐᲕᲐᲩᲥᲐᲠᲝᲗ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲛᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲗᲘᲗᲒᲘᲡ ᲛᲘᲢᲐᲜᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი რესპუბლიკური გაზეთების რედაქციების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის, კავშირგაბმულობის, და ავტოტრანსპორტის სამინისტროების, სოიუზპეჩატის, სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველოს და საქინფორმის წარმომადგენელთა მონაწილეობით. თათბირზე განიხილეს მკითხველებისათვის ახალი გაზეთების დროული მიტანის უზრუნველყოფის საკითხი.

აღინიშნა, რომ ბოლო დროს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ამ საქმეში, მაგრამ ჯერ კიდევ მოდის პრეტენზიები გაზეთების გაბმულობის გამო. საკითხი განსაკუთრებულ აქტიურობას იძენს ზაფხულის შვებულებების დღეებში, კერძოდ კურორტებზე.

თათბირმა მოსთხოვა გაზეთმკითხველის ჯაჭვის შესაბამის რგოლებს, მკაცრად დაიცვან თავიანთი გრაფიკი: რედაქციებმა — სტამბაში მასალების ჩაბარებისა, გამომცემლობებმა — ბეჭდვისა, კავშირგაბმულობის სამინისტრომ და სოიუზპეჩატმა — რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გაზეთების მიტანისა.

თითოეული ამ რგოლის ზუსტ მუშაობას დაწესებული აქვს მკაცრი კონტროლი.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲗᲘᲡ, ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲔᲑᲗᲘᲡ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲛᲠᲔᲑᲘᲡ:

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ—ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲔᲑᲚᲝᲑᲐ—ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ

მთელ პარტიულ საქმიანობაში დიდმნიშვნელოვანმ, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი აკისრია მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციას. ამ ჭეშმარიტებას ერთხელ კიდევ გაესვა ხაზი სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობებზე, რომლებმაც უკლებლივ ყველა პარტიული რგოლისაგან მოითხოვეს მიაღწიონ მიღებულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებასთან დაახლოებას, მათს კონკრეტულობასა და რეალურობას, განუხრელ განხორციელებას, სიტყვისა და საქმის სრულ ერთიანობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორგანიზაციულ და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას, მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმებას. „ნახეთ რით შემოიფარგლება ჩვენში ყოველგვარი შემოწმება, — აღინიშნა პლენუმზე, — ცნობები, ცხრილების, ოქმების, ღონისძიებათა გეგმების შესწავლით, იმის გამორკვევით, განხილეს თუ არა საკითხი და მიიღეს თუ არა შესაბამისი გადაწყვეტილება მის გამო. ერთი სიტყვით, მიეჩვევნენ მუშაობას ქაღალდებთან, და არა ადამიანებთან“. სამწუხაროდ, ბევრგან აუარებელ დადგენილებებს იღებენ, მათი შესრულებისა და შემოწმებისათვის კი მერე თავს აღარ იწუხებენ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ საქალაქო და რაიონულ კომიტეტში მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან, რათა საგრძნობლად შემცირდეს უმაქნისი ქაღალდების ნაყადი, თუმცა ზოგან მაინც ვერ დაძლიეს ინერციის ძალა. არადა, სწორედ დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ მიღებული დადგენილება იყოს აწონილ-დაწონილი, რეალური, ცოცხალი, სარგებლის მომტანი, მშრომელების, კომუნისტების შემოქმედებითი ძიების ნაყოფი.

როგორ არის ამ მხრივ საქმე წულუკიძის რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში? ამის თაობაზე ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი დ. ᲒᲝᲯᲝᲜᲘᲫᲔ ესაუბრა საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომის პირველ მდივანს პ. ᲙᲘᲜᲬᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ქვემოთ გთავაზობთ ამ საუბარს.

კითხვა: როგორ აუმჯობესებთ მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმებას სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ?

— სკკპ XXVII ყრილობამ პარტიული ორგანიზაციების, თითოეული კომუნისტის, მშრომელის წინაშე ახალი გაზრდილი მოთხოვნები დააყენა. ამ მოთხოვნათა შესაბამისად მთავარ ყურადღებას ვუთმობთ მიღებული დადგენილების კონტროლისა და შესრულების შემოწმების ორგანიზაციას, ვცდილობთ შემოწმების დროს გავითვალისწინოთ არა მარტო ნაკლოვანი მხარეები და შეცდომები, არამედ მიღწევებიც. მნიშვნელობას ვანიჭებთ იმასაც, რომ შემოწმება როგორც ფორმით, ისე შინაარსით ემსახურებოდეს მთავარ მიზანს — მუშაობის გაუმჯობესებას, დისციპლინის განმტკიცებას, კადრების სწორად აღზრდას, ვიბრძვით, რათა არ იყვნენ პარტიულ კონტროლს დაუქვემდებარებელი, კრიტიკისაგან დაცული ორგანიზაციები და პარტიულ პასუხისმგებლობას მოკლებული ხელმძღვანელები. ეს კი გვეხმარება სოციალურ-ეკონომიკური და სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში. ვსახავთ ღონისძიებებს, რათა გარდავქმნათ პარტიული მუშაობის სტილი და მეთოდები. მივაღწიოთ იმას, რომ სხვადასხვაგვარი კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების, თათბირების, ღონისძიებებისა და ქაღალდთმთხზველობის შემცირების შედეგად გამოთავისუფლებული დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ კონტროლისა და შესრულების შემოწმების გასაძლიერებლად. საკითხები გადავწყვიტოთ პოლიტიკური მეთოდებით, განვახორციელოთ რაიონის სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობა კადრების, კომუნისტების მეშვეობით. ჩვენ კი მეთორმეტე ხუთწლეულში ძალზე დიდი ამოცანები და პრობლემები გვაქვს ამ მხრივ გადასაწყვეტი რაიონის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.**

კითხვა: თქვენ პრობლემები ახსენეთ, რა პრობლემები დგას რაიონის პარტიული ორგანიზაციის წინაშე და როგორ ფიქრობთ მათს გადაწყვეტას?

— დიახ, პრობლემები ბევრია, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მიგვაჩნია პარტიულ ორგანიზაციათა ბრძოლისუნარიანობის გაძლიერება, გულახდილობის ატმოსფეროს დამკვიდრება, მოვალეობისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება, სიტყვისა და საქმის სრული ერთიანობა. სწორედ ასეთ ვითარებაში იბადება სიახლის სულისკვეთება, შეუწყნარებელი ხდება ჩამორჩენილობა და უძრაობა, ეს კი განაპირობებს მიღებულ დადგენილებათა უფრო შესრულებას.

ბოლო ხანს პრაქტიკაში შემოვიღეთ პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის ადგილზე დარგობრივი სწავლება. გამოცდილების განზოგადების მიზნით დავნერგეთ პარტიული ორგანიზაციების მდივნების პარტიულ კრებებზე ურთიერთდასწრება, ვაწყობთ წარმოების ხელმძღვანელებისა და ეკონომიკური დარგის მუშაკების შეხვედრას მართვის სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე; რაიკომის ბიუროს სხდომებზე განსახილველი საკითხების შემცირებას კვალობაზე მაქსიმალურად ვიყენებთ დროს დადგენილების ხარისხიანი მომზადებისათვის, რისთვისაც მუშაობაში ვაბამთ გამოცდილ სპეციალისტებს და პარტიულ მუშაკებს; კოლექტიურად მიღებულ გადაწყვეტილებას ვაცნობთ უშუალოდ შემსრულებლებს, ვცდილობთ გამოვრიცხოთ დადგენილების გამორებითი მიღება ერთსა და იმავე საკითხებზე, ამასთან მთავარია, რომ ჩვენ მიერ მიღებული დადგენილებები იყოს კონკრეტული, რაც გააძლიერებს მინდობილი უბნისათვის მუშაკთა პერსონალურ პასუხისმგებლობას, ნაკლოვანებების ჯეროვნად მხილებას.**

მაგალითად, წულუკიძის ა. წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ წლის დასაწყისშივე განიხილა საკითხი კოლმეურნეობაში მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის განმტკიცების თაობაზე. კომუნისტებმა ღია პარტიულ კრებაზე იმსჯელეს მეაბრეშუმეობის, რაიონისათვის ამ ტრადიციული დარგის განვითარებაზე. აღმოჩნდა, რომ პარტიული ორგანიზაციის მიერ ადრე მიღებული დადგენილება ცუდად სრულდებოდა. კომუნისტები ღრმად ჩასწვდნენ კოლმეურნეობაში შექმნილ მდგომარეობას და გამოთქვეს აზრი, რომ უახლოესი წლებისათვის უზრუნველყონ აბრეშუმის მურის გამოკვება საკუთარი ბაზით. გადაწყვეტეს შექმნილიყო მეაბრეშუმეთა რგოლები. კოლმეურნეობის კომუნისტებმა, კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა ვალდებულება იკისრეს, რომ თითოეული მათგანი დარგავდა და გაახარებდა ერთეული ნარგავის სახით 50 ძირ თუთას და რგოლი გამოკვებავდა 45 გრამ აბრეშუმის მურს. აქ და რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში შექმნილმა მდგომარეობამ განაპირობა მეაბრეშუმეობის დარგის შემდგომი განვითარების მიზნით პარტიის რაიკომის პლენუმის მოწყობა. პლენუმზე განალიზდა მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობა, მხილებულ იქნა ნაკლოვანებები და მისი გამომწვევი მიზეზები. დაისახა ღონისძიებათა კომპლექსი ნაკლის გამოსწორებისა და ადრე მიღებული დადგენილების პუნქტობრივი შესრულებისათვის. დადგენილების შესრულებისაში სისტემატურმა და თანამიმდევრულმა კონტროლმა განაპირობა საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევა: დღეისათვის რაიონში წარმატებით მიმდინარეობს აბრეშუმის საკვის ბაზის დამზადება.

მაგრამ ისიც გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ადგილებზე ზოგი კომუნისტის, ხელმძღვანელის თუ რიგითი მუშაკის გულგრილობით, უინიციატივობით თუ უპასუხისმგებლობით ბევრი თავმოუბმელი საქმეცა გვაქვს, ბევრი დადგენილება შეუსრულებელი რჩება, ზოგიერთი კოლექტივი თავს ვერ აბამენს საგებელ დავალებათა შესრულებას.

კითხვა: როგორია რაიონში გარდაქმნის, ახლებურად მუშაობის პირველი გაკვეთილები?

— გარდაქმნა ყოველდღიური საქმიანობის დეკეზია, რით დაიწყეთ? უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ფაქტორის გააქტიურებით. შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობს რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, შრომითის კოლექტივებში, სკოლებსა და სასწავლებლებში, მაგრამ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ მუშაობა ამ მხრივ საკმარისი იყოს. ხელმძღვანელებს შორის ჯერ კიდევ არიან ისეთებიც, რომლებიც ბევრს ლაპარაკობენ გარდაქმნაზე, სხვებისაგან მოითხოვენ გარდაქმნას, თავად კი ფიქრობენ, რომ კარგად მუშაობენ, თითქოსდა გარდაქმნა მათ არ ეხებოდეთ. ამის მაგალითად გამოდგებოდა ახლახან ჩვენ მიერ შესწავლილი საკითხი ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და გადამუშავების შესახებ. მიღებულ დადგენილებას მთელი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ სოფელ ახალშენის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ქალაქის ჩაის ფაბრიკის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები, რის გამიც პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს მოუხდა მკაცრი ღონისძიებების განხორციელება.**

სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები ჩვენი პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში ერთეული როდია. შარშან რაიკომის ბიურომ იმსჯელა რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული იმ სახალხო-სამეურნეო ობიექტების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შემოწმების შედეგებზე, სადაც სერიოზული დარღვევები იქნა მხილებული. რაიკოოპერატივის გამგეობას და პარტბიუროს დაევალათ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება. დადგენილება დროულად გაეგზავნა შესაბამის ორგანიზაციათა ხელმძღვანელებსა და პარტბიუროს. შემდგომმა კონტროლმა დაადასტურა, რომ ადგილზე იმსჯელეს დადგენილების შესახებ, მაგრამ ზერელედ, ფორმალურად მოეკიდნენ მის შესრულებას.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩვენ სათანადო თანამიმდევრულობა ვერ გამოვიჩინეთ მიღებულ დადგენილებათა შესრულებისადმი კონტროლის დაწესებისათვის. კონტროლის შესუსტებამ არასასურველი შედეგი მოგვცა. რაიკოოპერატივის სავაჭრო ცენტრში მიმდინარე წლის 21 აპრილს მომხდარმა ხანძარმა დიდი ზარალი მიაყენა რაიონს, რაც მოშვებულობის, უდისციპლინობის, უკონტროლობის შედეგია.

შემიძლია დავასახელო სხვა მაგალითიც, როცა კონტროლის შესუსტებამ, მომთხოვნელობის დაბალ დონეს სავალალო შედეგი მოჰყვა და იძულებული გაგვხადა კომუნისტთა ერთი ნაწილისათვის მკაცრი პარტიული სასჯელი დაგვედო, პარტიიდანაც კი გაგვერიცხა. საქმე ის არის, რომ შარშან პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროომ განიხილა საქალაქო საბჭოს აღმასკომში მოქალაქეთა ბინების მიღების აღრიცხვაზე აყვანისა და განაწილების საქმეში უხეში დარღვევების საკითხი. მოველოდით, რომ მიღებული დადგენილებიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანდნენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის, კომუნალურ საწარმოთა კომბინატისა და სახლმშენებლობის ხელმძღვანელობა და პარტიული ორგანიზაცია. პირიქით კი მოხდა: მიმდინარე წლის იანვარში სახლმშენებლობის ორი კომუნისტი ამხილეს მექრთამეობაში, რაც როგორც ფაქტებმა დაადასტურა, მოხდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის და მისი სამსახურების საქმიანობაში. არსებულ უხეშ დარღვევებსა და ნაკლოვანებებს მკაცრი შეფასება მისცა რაიკომის ბიუროომ და განახორციელა ორგანიზაციული ღონისძიებები აღნიშნული სამსახურების გასაძლიერებლად.

კითხვა: პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ მიღებული დადგენილებებისადმი არასაკმაო კონტროლი და შესრულების შემოწმებისათვის ბრძოლა ხომ არ აიხსნება პარტიის რაიკომის აპარატის სუსტი მუშაობით?

— დიახ, ეს ნაკლოვანებანი პარტიული აპარატის მუშაკების მხრივ პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი სუსტი დახმარებისა და კონტროლის შედეგია. ჩვენ ზედმეტ მეურვეობას ვუწევთ საკურორტოდ დარგებს, რის გამიც ხშირად პარტიული ხელმძღვანელის მაგივრად შესრულებლის როლში გამოვდივართ. ასეთი მეურვეობით კი ქვეითდება პირველადი რგოლის ბრძოლისუნარიანობა, დამოუკიდებლობა და მათ ხშირად სხვისი მოიმედობის გაწყობლობა ეუფლებათ. პარტიული ორგანიზაციისადმი დახმარებას და კონტროლს ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივანიჭეთ სისტემური ხასიათი. კონტროლი კი ნამდვილად ეფექტიანია იქ, სადაც იგი სისტემატურად და არა შემთხვევიდან შემთხვევამდე ხორციელდება.**

კითხვა: შემდგომისათვის რა დამატებითს ღონისძიებებს ითვალისწინებთ მიღებული დადგენილებების შესრულების მიზნით?

—მიღებული დადგენილების შემოწმების საუკეთესო ფორმად მიგვაჩნია მისი საჯაროობა, მდგომარეობის გაცნობა ადგილებზე. ვერავითარი ცნობები, ოქმები და სხვა ქაღალდები ვერ შეცვლის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკის ცოცხალ მუშაობას, ყოველდღიურ ურთიერთობას ადამიანებთან, მისი უშუალო შეხვედრების ეფექტს. სწორედ ამიტომ რაიკომის აპარატის მუშაკები დღეს უფრო ხშირად ვართ პ[illegible] ორგანიზაციებში, შრ[illegible] კოლექტივებში, კონტროლს ვუწევთ მიღებული დადგენილების შესრულებას, რადგან, ჩვენი აზრით, პარტიული კონტროლი ცოცხალი, შემოქმედებითი საქმეა. ამან უნდა მოიცვას სამეურნეო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა მხარე. იგი უნდა უნერგავდეს ადამიანებს შემოქმედებითს აზროვნებას, უსახავდეს წინსვლის გზებს, რომლებსაც გარდაქმნისაკენ მივყავართ. აქ კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პრინციპულობას, პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის სწორად წარმართვას. ივნისის პლენუმზე ხომ პირდაპირ ითქვა, რომ „ვერავითარი გარდაქმნა ვერ მოხდება, თუ პარტიაში, მის ყველა ორგანიზაციაში არ დამკვიდრდა ნაკლოვანებებისადმი, საქმეებში უძრაობისადმი, პასიურობისა და ფუჭსიტყვაობისადმი შეურიგებელი ატმოსფერო. ამიტომ უნდა გავაძლიეროთ კრიტიკული ხმა-ბაასი ყრილობის სულისკვეთებით“.**

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲚᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ● „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის 8 ივნისის ნომერში სათაურით „მასპინძლობის შუქ-ჩრდილები“ დაიბეჭდა მასალა, რომელიც ლაპარაკი იყო საკურორტო სეზონისათვის მზადყოფნის საკითხებზე. ამის გამო პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **რ. ᲡᲘᲒᲣᲐ** გვწერს:

ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება და წამოჭრილი პრობლემები დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს.

გაგრის მოგზაურობისა და ექსკურსიების ბიურო წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე რესპუბლიკის ფაგლებს გარეთ მდებარე სანარმო-დაწესებულებებიდან იწვევს კოლექტივებს და მათ დასვენებასა და მომსახურებას სთავაზობს. იმის გამო, რომ ბიუროს ქალაქში არ გააჩნია თითქმის არავითარი ბაზა, მოწვეული სტუმრების დაბინავება კერძო სექტორში ხდება. ამავე დროს ეს საკითხი არ უთანხმდება ადგილობრივ საბჭოებს, არ არის გათვალისწინებული კურორტის რეალური შესაძლებლობანი, რაც ბრავალი პრობლემის წინაშე აყენებს ქალაქს და იწვევს არცთუ უსაფუძვლო საჩივრებს.

საკურორტო მომსახურების ტერიტორიული სადარგთაშორისო გაერთიანების ახლად შექმნილ ფირმა „დასვენებას“, რომელიც არაორგანიზებულად, უსაგზაროდ ჩამოსულ სტუმრებს ემსახურება, შარშან ძალიან უმნიშვნელო (1 პროცენტამდე) ოდენობით ჰქონდა დადებული წინასწარი ხელშეკრულება ფირმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ზოგიერთი საკითხის გადაჭრისათვის.

ექსპერიმენტის მიზნით შექმნილი ფირმა „დასვენებისა“ და ექსკურსიების ბიუროს ფუნქციების საბოლოო დაზუსტების საკითხი ქალაქის სპეციფიკის და მისი რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით მოკლე ხანში შესაბამის ინსტანციებში გადაწყდება.

წერილში აღნიშნული სხვა ფაქტები განხილულ იქნა სპეციალურ თათბირზე დაინტერესებული საწარმო-დაწესებულებებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელობის მონაწილეობით. გაგრის რძისა და უალკოჰოლო სასმელების ქარხნების დირექციები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები იღებენ ზომებს ნაყინისა და გამაგრილებელი სასმელების წარმოების მოცულობის გაზრდისათვის. ამასთან ხორცეულეღვა ღონისძიებების საჭკვების ობიექტებში სათანადო სანიტარული წესრიგის დასამყარებლად, კერძების ასორტიმენტის გასაუმჯობესებლად.

სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობამ თავის სხდომაზე განიხილა საგაზეთო წერილი და მასში აღნიშნულ და სხვა ნაკლოვანებებისათვის ლესელიძის სახინკლის მებუფეტე ა. ბაგარიანი სამუშაოდან მოიხსნა, დაისჯა გამგე ი. მკრტჩიანი. მიღებულია ზომები გამაგრილებელი წყლების, წვენების ასორტიმენტის გასაფართოებლად.

სავაჭრო ცენტრის „ოოეკვარას“ კაპიტალური რემონტი დაიწყება რესტორან „გაგრიფშის“ რეკონსტრუქციის დამთავრებისთანავე. ამჟამად მზადდება შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შესაბამის სამსახურებს წინადადება მიეცით განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი განთიადი-ლესელიძის კვლევაციის კეთილმოწყობის დასაჩქარებლად, გააძლიერონ კონტროლი ბუნების, ჰაერისა და წყალსაცავების გაჭუჭიანების თავიდან ასაცილებლად.

ᲛᲔᲪᲘᲢᲠᲣᲡᲔᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔᲜᲘ



ᲣᲙᲕᲔ მრავალი წელია აფხაზეთის მეცეტრუსეებს სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლაში ავიატორები ეხმარებიან, რაც დიდძალი ტექნიკისა და მუშახელის გამოთავისუფლების საშუალებას იძლევა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ვერტმფრინავის მეთაური რევაზ ქორიძე და საბჭოთა მეურნეობის ეტომოლოგი კლიმენტი ტუნგია გეგმავენ შეწამვლის რაიონებს; ვერტმფრინავი მანდარინის პლანტაციების თავზე.

Ი. ᲭᲘᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ფოტოქრონიკა).

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგების განვითარების კვალობაზე მარცვლეულის წარმოებამ თანდათანობით დათმო მოწინავე პოზიციები და დაქვემდებარებულ დარგად იქცა. ამის გამო იგი სრულად ვერ შეესატყვისება რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის ამოცანებს.

მარცვლეულის წარმოებამ იკლო დასავლეთ საქართველოს რაიონებში, რაც ძირითადად სიმინდის ნთესი ფართობების შემცირებით აიხსნება. სამწუხაროდ, ერთეულ ფართობზე მოსავლიანობამ

1 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ ● ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ

ᲕᲔᲩᲮᲝᲕᲘᲜᲐ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

რატომ ქრება იაფი ნივთები

ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ფასი... განა იგი ასახავს მის რეალურ ღირებულებას? რატომ არის, რომ იაფი და ყველა ჩვენგანისათვის საჭირო ნივთები თანდათანობით გამოიდევნება წარმოებიდან? რატომ წარმოიშვა გადახრები ფასწარმოქმნაში და როგორ ხდება მათი დაძლევა? ამ კითხვებით მიმართა „ტრუდის“ კორესპონდენტი თბილისის „ჩარხშენებლის“ გაერთიანების პროფკომის პრეზიდიუმის წევრმა, ლენინის რაისაბჭოს დეპუტატმა, ელექტროშემდუღებელმა ნ. სახოკიამ. საზოგადოებრივ საქმიანობას რომ ვეწევი, აგვიხსნა მან, თვითონაც ხშირად მიხდება ამის მოსმენა — ეს აღელვებს ადამიანებს. მაგრამ აი, ზუსტი პასუხის გაცემას ყოველთვის ვერ ვახერხებ: ბევრი რამ აქ ნათელი არ არის. რედაქციის თხოვნით მუშას შეხვდა საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მ. მეგრელიშვილი.

ნ. სახოკია. სულ ახალი დაკვირვებებით დავიწყებ. თქვენთან რომ მოვდიოდი, გზაზე ათამდე სასურსათო მაღაზია და სასადილო შემოვიარე. არსად არ არის ხილის წყალი—ბოთლი 10-14 კაპიკი. ალბათ გახსოვთ, რომ შვიდი-რვა წლის წინათ იგი ძალზე პოპულარული იყო. ახლა კი ყველგან გთავაზობენ 25-35 კაპიკიან სასმელებს. მაღაზიაში დიდხანს ვათვალიერე სქელ-სქელი სხვადასხვა ფერის სანთლები. ერთი ცალი — 10 მანეთი! კარგი, ბატონო, ეს სუვენირია, მაგრამ რა იქნა 18-20-კაპიკიანი უბრალო სანთლები?

მ. მეგრელიშვილი. შემიძლია განვაგრძო მაგალითების მოყვანა. რესპუბლიკის მაღაზიებში უკვე აღარ ჩანს 60-70-მანეთიანი პალტოები და კოსტიუმები, არ არის 5-6 მანეთიანი მამაკაცის პერანგები..

ნ. სახოკია. მაგრამ ახალ ფასებს ხომ თქვენ ამტკიცებთ...

მ. მეგრელიშვილი. მოდით, სიცხადე შევიტანოთ. დიახ, ჩვენ ვაწესებთ ახალი და გაუმჯობესებული საქონლის ახალ ფასებს და ამით ხელს ვუნდა ვუწყობდეთ პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებას. მაგრამ სინამდვილეში ყოველთვის ასე არ ხდება, რადგან საწარმოს ხელმძღვანელებისაგან უწინარესად მოითხოვენ გეგმას ფულადი გამოხატულებით. ჰოდა, ისინიც ყოველი დაშვებული და დაუშვებელი ღონისძიებით ცდილობენ. რაც შეიძლება ძვირი პროდუქცია აწარმოონ. ყველაზე თავგამოდებული მეურნეები ხერხიანობის ოკეანეებს ავლენენ და „ართმევენ“ უფრო ძვირი ნედლეულისა და მასალის ფონდებს, რათა უფრო ადვილად გაართვან თავი გეგმას, იყენენ პატივში და პრემიებიც ჰქონდეთ. რა გამოდის? სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობანი ცალობით, მეტრობით, ლიტრობით და კილოგრამობით კი არ იზრდება, არამედ ფულადი თანხებით.

ნ. სახოკია. ყოველივე ეს საგრძნობლად მოქმედებს მყიდველის ჯიბეზე. თქვენ კი, ფასწარმოქმნის ორგანო, გამოდის, რომ არაფერ შუაში არა ხართ?

მ. მეგრელიშვილი. მთლად ასეც არ არის. მაჩვენებლების დაგეგმვის არსებულ სისტემას მოჰყავს ის, რომ მეურნეები სულ იმის ცდაში არიან, რაც შეიძლება მეტი ფასი ამაგვამტკიცებინონ ახალ ან გაუმჯობესებულ საქონელზე. აქ ჩვენ მკაცრად ვდგებით მყიდველის ინტერესების დასაცავად. მაგალითად, თბილისის საიუველირო ქარხანამ წარმოადგინა საყურის ფასის პროექტი — ორი მანეთი. ჩვენმა სპეციალისტებმა განსაზღვრეს, რომ პროექტში გაზრდილია შრომის დანახარჯები, და დავამტკიცეთ ფასი — 1 მანეთი და 20 კაპიკი. რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ წარმოადგინა საღობე ბოძის ფასის პროექტი — 4 მანეთი და 88 კაპიკი, ჩვენ კი დავამტკიცეთ 3 მანეთი და 40 კაპიკი. თუმცა მწარმოებელმა ფასის პროექტში შეიტანა პირველი სორტის ნედლეული, ტექნიკური პირობებით კი ეს ნაწარმი უნდა დამზადდეს მეორე სორტის მილებისა და არაკონდიციური მასალებისაგან.

არ მახსოვს შემთხვევა, რომ საწარმოს ზუსტად კალკულირებული ფასის პროექტი წარმოედგინოს, მაგრამ უბედურება იმდენად ეს არ არის, რამდენადაც ის, რომ როგორც კი დამტკიცდება ახალი საქონლის ფასი, საწარმო იწყებს უფრო იაფი ანალოგიური ნაწარმის წარმოების შეკვეთას. ავიღოთ იგივე სანთლები. რესპუბლიკას დაუგეგმეს ორი მილიონი ცალი საოჯახო სანთლის გამოშვება, წარმოებული კი მხოლოდ 800 ათასი, ხოლო დეკორატიული და სასუვენირო სანთელი, თქვენ რომ ახსენეთ, გამოშვებულია მილიონ 700 ათასი ცალი. რესპუბლიკაში გეგმა 200 პროცენტით შესრულდა. მაგრამ სინამდვილეში რა მოხდა? ნაწარმის გამოყენებითი ეფექტიანობა ერთიორად შემცირდა, მოსახლეობამ კი სამჯერ ძვირი გადაიხადა.

ნ. სახოკია. კონტროლის სისტემა რას შერება?

მ. მეგრელიშვილი. სამწუხაროდ, იგი ყოველთვის ჯეროვნად არ მოქმედებს. ახლახან ჩვენ მოვაწყეთ ზესტაფონის რაიონში ფასების სახელმწიფო დისციპლინის დაცვის კომპლექსური შემოწმება. თურმე, მარტო ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა, რომლებიც ყიდიან ოლიფას, შპალერებსა და სხვა პროდუქციას თვითნებურად მომატებული ფასით, 241 ათასი მანეთი უკანონო შემოსავალი მიიღეს.

ჩვენი კომიტეტი დამრღვევ საწარმოთა მიმართ იყენებს ეკონომიკურ სანქციებს, აუქმებს საქონლის საცალო ფასების დანამატებს, თუ ისინი არ შეესაბამება დამტკიცებულ ნიმუშებს. ამას რამდენიმე მაგალითით ცხადვყოფ. რუსთავის სარეკლამო სახელოსნის პოლეთილენის პარკების საცალო ფასების მომატებისათვის ბიუჯეტის წასარგებლოდ ჩამოერთვა 5,5 ათასი მანეთი, ხოლო შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტს“ მომატებული ფასებით პარაფინის სანთლების რეალიზაციისათვის — 26 ათას 739 მანეთი.

ნ. სახოკია. დამეთანხმებით, მყიდველისათვის ეს არაფერი სიუსტეშოა: ფული მან უკვე გაიღო თავისი ჯიბიდან... განა ეს არ ქმნის ნეგატიურ მოვლენათა წანამძღვრებს? ხომ შემთხვევითი არ არის, რომ ფასწარმოქმნის პრობლემა მწვავედ და პრინციპულად დაისვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე, სადაც პირდაპირ ითქვა, რომ ფასების ხელოვნური მომატება კი არ კურნავს ეკონომიკურ დაავადებებს, არამედ მხოლოდ ხარწნის მუშაკებს, ამუხრუჭებს ტექნიკურ პროგრესს, ფარავს ტექნოლოგიისა და წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის ნაკლოვანებებს.

მ. მეგრელიშვილი. დიახ, ეს ასეა. მოხსენებაში დასახელებულია ფასების უსაფუძვლო გადიდების ძირითადი მიზეზიც — ეს არის „მთლიანობის კვანძი“, მთლიან მაჩვენებელს გამოდევნება. ამ კვანძს სერიოზული ლახვარი ჩასცა მაისში გამოქვეყნებულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „მსუბუქ მრეწველობაში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მართვის დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირების გაუმჯობესებისა და სრულყოფის შესახებ“. მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს დაეგეგმებათ საქონლის წარმოება ნატურალური გამოხატულებით — იმავე ცალობით და მეტრობით.

ბევრი რამ არის დამოკიდებული დაგეგმვის სრულყოფაზე სახალხო მეურნეობის, სხვა დარგებშიც. ხოლო ჩვენი კომიტეტი, ფასწარმოქმნისა და კონტროლის ადგილობრივი ორგანოები ნამდვილად უფრო ზუსტ და პრინციპულ გეზს უნდა დაადგნენ „ხარჯიანი“ ტექნოლოგიისა და ფასების უსაფუძვლო გადიდების წინააღმდეგ ბრძოლაში. არ დავმალავ, რომ ზოგჯერ დროებით ვუთმობდით კიდეც სამინისტროებსა და უწყებებს. ამას შეგებულად ვშვრებოდით, რათა ამა თუ იმ საწარმოს დავხმარებოდით თავი დაეწია ქონებრივი ჩამორჩენისათვის, გამოესწორებინა ფინანსური საქმეები. მაგრამ ჩვენი კეთილი განზრახვები ბოროტებად იქცეოდა. მაგალითად, რამდენიმე წელიწადს ვამტკიცებდით ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის პროდუქციის მომატებულ ფასებს. და რა გამოვიდა? ქარხნის ხელმძღვანელობამ ვერა და ვერ მოუღო ბოლო ზარალსა და ტექნოლოგიის ნაკლოვანებებს.

არ შემძლია არ აღვნიშნო ჩვენი მუშაობის სიძნელეებიც. ინსტრუქციები ისეა შედგენილი, რომ ყოველთვის ვერ გაიგებ, სად მთავრდება მუდმივი თუ სახელშეკრულები ფასი და სად იწყება ფასი გაუმჯობესებული ხარისხისათვის. ძნელი გასარკვევია, ფასებს რომელ კატეგორიას მიაკუთვნო ესა თუ ის ნაწარმი, როგორ განასხვავო ჩვეულებრივი პროდუქცია „სიახლის“ ინდექსიანი პროდუქციისაგან. ეს საწარმოებს უქმნის ხვრელებს, რათა მიიღონ დაუმსახურებელი შემოსავალი. დოკუმენტაციის გაფორმების წესი ჯერ კიდევ ძალზე რთულია. თანაც მუდმივ ფასს განსაზღვრავს ერთი დოკუმენტი, სახელშეკრულებოს — მეორე, ხოლო გაუმჯობესებული ხარისხისათვის ფასს — მესამე. დადგა დრო, უფრო ზუსტი კრიტერიუმები შემოვიღოთ.

ნ. სახოკია. თუ ვიმსჯელებთ იმით, რომ მყიდველთა ჯიბის ხარჯზე გეგმის „გაყვანის“ მოყვარულთა რიცხვი არ მცირდება, სამართლიანი იქნებოდა მანეთით დაგვესაჯა არა მარტო თვით საწარმოები, არამედ მათი ხელმძღვანელებიც.

მ. მეგრელიშვილი. ასეთი ღონისძიება განამტკიცებდა ფასების სახელმწიფო დისციპლინას, აიძულებდა საწარმოთა ხელმძღვანელებსა და ეკონომიკურ სამსახურებს უფრო აქტიურად ეძებათ საქონლის წარმოების დანახარჯების საწინააღმდეგო გზები. დიდი დახმარება შეუძლიათ გაგვიწიონ იმ საწარმოთა პროფკომებმა, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს ამზადებენ. ამისათვის მათ უნდა შეისწავლონ ნაწარმის თვითღირებულება და იმ შემთხვევაში, თუ იგი შემცირდა, გვაცნობონ ჩვენ. ეს საშუალებას მოგვცემდა უფრო ფართო მასშტაბით შეგვემცირებინა საქონლის ფასი მათზე გაწეული რეალური დანახარჯების შესაბამისად.

საუბარი ჩაიწერა

ო. ჩიხლაძემ.

(„ტრუდის“ კორ.).

„ᲢᲠᲣᲓᲘ“, 1986 წ. 31 VII.

სრული იზოლაცია და სოლიდარობა

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. შეერთებულმა შტატებმა ვეტო დაადო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში რეზოლუციის პროექტს, რომელშიც დამტკიცებულია ნიკარაგუისა და ცენტრალური ამერიკის სხვა ქვეყნების მშვიდობისა და უშიშროების პირობებში ცხოვრების უფლება. უშიშროების საბჭოს წევრი მეუმხრობელი ქვეყნების მიერ შეტანილი დოკუმენტის პროექტში დასტურდება აგრეთვე ნიკარაგუისა და სხვა სახელმწიფოების სუვერენიტეტი და ხელშეუვალი უფლება, რომ თავისუფლად აირჩიონ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა, განავითარონ საერთაშორისო ურთიერთობა თავისი ხალხის ინტერესების შესაბამისად, გარედან ჩაურევლად, ძირგამომთხრელი საქმიანობის, ყოველგვარი აშკარა ან არაპირდაპირი იძულებისა და მუქარის გარეშე. დოკუმენტი ყველა სახელმწიფოს შეახსენებს მათს ვალდებულებას მშვიდობიანი საშუალებებით მიაღწიონ სადავო საკითხთა მოწესრიგებას საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. რეზოლუციის პროექტი მოუწოდებს ყველას შესასრულონ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც დაგმო ვაშინგტონის აგრესიული მოქმედება, და მოითხოვა მისი შეწყვეტა.

უშიშროების საბჭოში კენჭისყრამ ცხადყო შეერთებული შტატების სრული საერთაშორისო იზოლაცია. რეგოლუციის პროექტს ხმა მისცა უშიშროების საბჭოს 11 წევრმა სახელმწიფომ. თავი შეიკავეს მხოლოდ ინგლისმა, საფრანგეთმა და ტაილანდმა. მეუმხრობელი ქვეყნები არ დაჰყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების შანტაჟსა და მუქარას. დაადასტურეს რა თავიანთი სოლიდარობა სანდინისტურ მთავრობასთან და ნიკარაგუელ ხალხთან, ზიმბაბვეს, ლიბიის, სირიისა და სხვა სახელმწიფოების დელეგატებმა საკადრისი პასუხი გასცეს მეუმხრობელი ქვეყნების მოძრაობაზე შეერთებული შტატების გააფთრებულ თავდასხმებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში აღნიშნავენ ვენესუელის პოზიტიურ პოზიციას, რომელმაც კონტადორული ჯგუფისა და მხარდამჭერის ჯგუფის სახელით დაადასტურა, რომ ერთგულობს ცენტრალურ ამერიკაში ვითარების პოლიტიკურ მოწესრიგებას.

უშიშროების საბჭოს სესიის ბოლო დღეს გამოსვლისას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნიკარაგუის მუდმივმა წარმომადგენელმა ნორა ასტორგამ მადლობა გადაუხადა სოციალისტურ ქვეყნებს, მეუმხრობელ სახელმწიფოებსა და სხვა ქვეყნებს, რომლებმაც უშიშროების საბჭოში ხმა მისცეს „მშვიდობასა და საერთაშორისო სამართლის პატივისცემას“. შეეხო რა ვაშინგტონის ნეგატიურ პოზიციას, მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არსებითად ხმა მისცა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, მისი ფუნდამენტური პრინციპებისა და ნორმების წინააღმდეგ, ხალხების თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგ, სახელმწიფოების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ“. „უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხმა მისცა ომს, ინტერვენციასა და საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოყენებას“, — განაცხადა ნიკარაგუის წარმომადგენელმა.

დამთავრდა უშიშროების საბჭოს სხდომა ნიკარაგუის საკითხზე

ᲒᲣᲨᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲨᲘ

ᲐᲛᲐᲜᲘ. „ამანში ბუშს იგივეს ეტყვიან, რასაც ვაშინგტონს სხვა ემისრებს ეუბნებოდნენ. ისრაელთან პირდაპირ სეპარატულ მოლაპარაკებას როცა მოგვიწოდებენ, დროს ამაოდ კარგავენ, ვინაიდან ეს გზა ჩიხში მიდის, არღვევს საერთაშორისო კანონიერებას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებს“, ასე განმარტავს იორდანიის გაზეთი „არ-რაი“ აქ ჩამოსული ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მოლაპარაკებას იორდანიის ხელმძღვანელებთან. მისი ვიზიტი იორდანიის დედაქალაქში მიმდინარეობს ახლო აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში ვოიაჟის ფარგლებში.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამერიკელი მაღალი თანამდებობის სტუმარი თავდაპირველად ისრაელს ეწვია. თელ-ავივში კონტაქტების ამოგეა გახდა ბუშის გამოსვლა კნესეტში, რომლის დროსაც მან გამოაცხადა, რომ შეერთებული შტატები მზად არის თელ-ავივს მიანიჭოს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი სამხედრო დარგში — შეიარაღების მიწოდების, სამხედრო ტექნოლოგიის, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა ერთობლივი წარმოების საკითხებში. დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოების შეფასებით, ვაშინგტონი ამით მზად არის ისრაელი გაუთანაბროს თავის ნატოელ მოკავშირეებს.

იორდანიაში გამგზავრების წინ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა კვლავ მოუწოდა ამ ქვეყნის ხელმძღვანელობას აწარმოოს ისრაელთან პირდაპირი მოლაპარაკება ამერიკა-ისრაელის პირობებით. მაგრამ ამაში ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს მეფე ჰუსეინმა უარყო ისრაელთან სეპარატული გარიგების იდეა და მხარი დაუჭირა მოლაპარაკების მოწყობას მხოლოდ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები.

სპარატული და ნაწილობრივი გარიგებები, ხაზს უსვამს „არ-რაი“, ვერ დაძლევენ კრიზისს ახლო აღმოსავლეთში. შეერთებულმა შტატებმა ბოლოს და ბოლოს უნდა ცნოს ეს რეალობა და მისი გათვალისწინებით განსაზღვროს თავისი კონსტრუქციული როლი რეგიონის საქმეების მოწესრიგებაში.

ᲒᲣᲨᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲨᲘ

● ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲝ მარშის მონაწილეები (სურათზე), რომლებმაც სტარტი ივლისის დამდეგს აიღეს ტოკიოში და ჰიროსიმაში 6 აგვისტოს — ქალაქის ატომური დაბომბვის წლისთავის დღეს — უნდა იყვნენ, უდიდეს სამრეწველო ქალაქ კობეში ჩავიდნენ. მუნიციპალიტეტის შენობის წინ გაიმართა ოფიციალური მიტინგი. ორატორებმა დიდი შეფასება მისცეს კობეს საქალაქო კრების გადაწყვეტილებას — არ დაუშვან კობეს ნავსადგურში ამერიკის ბირთვულიარაღიანი ხომალდების შესვლა. აღინიშნა, რომ საჭიროა გააქტიურდეს ბირთვული იარაღის აკრძალვისათვის ბრძოლა, რათა ალარ განმეორდეს ჰიროსიმისა და ნაგასაკის ტრაგედია.

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

● ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲓᲐ ᲐᲜᲢᲘᲠᲐᲡᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ

ᲚᲣᲡᲐᲙᲐ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტ ხელისუფალთა უმკაცრესი ტერორის პასუხად აფრიკელთა უმრავლესობა აძლიერებს ბრძოლას აპარტეიდის რეჟიმის წინააღმდეგ.

როგორც საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, გასულ ოთხშაბათს პატრიოტთა ჯგუფმა ცეცხლი და ხელყუმბარები დაუშინა უმტატს — ერთ-ერთი ფსევდოდამოუკიდებელი ბანტუსტანის ტრანსკეის „დედაქალაქის“ პოლიციის სამმართველოს. ამ გაბედული აქციის შედეგად მოკლეს ხუთი „წესრიგის დამცველი“, შენობა მნიშვნელოვნად დაზიანდა. კვანდებელში პატრიოტებმა მოკლეს ამ სატომო რეზერვაციის მარიონეტული „მთავრობის“ შინაგან საქმეთა მინისტრი პიეტა ნტული. უკვე მრავალი თვეა გრძელდება სისხლისმღვრელი შეტაკებანი მოსახლეობასა და დამსჯელებს შორის. ბანტუსტან კანგვანში მოკლეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის მოხელე.

სამხრეთ აფრიკის პროფკავშირთა კონგრესის ხელმძღვანელობის მოწოდებით ქვეყნის მშრომელთა ამ უდიდესი გაერთიანების აქტივისტებმა დემონსტრაციამოაწყვეს კეიპტაუნის უმაღლესი სასამართლოს შენობის წინ. მათ მოითხოვეს ბოლო მოეღოს პოლიციელთა თვითნებობას, გაუქმდეს აკრძალვა მიტინგებისა და დემოკრატიული ორგანიზაციების კრებების მოწყობაზე.

ამავე დროს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მბოტამ დაადასტურა, რომ რეჟიმი იმედს ამყარებს ძალაზე, რათა გამონახოს სამხრეთ აფრიკის წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრის გზრა. პრეტორიაში გამოსვლისას მან განაცხადა, რომ არ გამართავს სამშვიდობო მოლაპარაკებას სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელობასთან. რასისტმა მესვეურმა ციინკურად უარყო საზოგადოებრიობის ფართო წრეების მოთხოვნა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში და საზღვარგარეთ დართოს აფრიკელთა ეროვნული კონგრესის — სამხრეთ-აფრიკელი ხალხის ნამდვილი წარმომადგენლის — ლეგალიზაციის ნება, და გაათავისუფლოს მისი ლიდერი ნელსონ მანდელა. ბოტას გამოსვლა ქვეყანაში ახალი რეპრესიების დაწყების სიგნალი გახდა. დამსჯელები სასტიკად გაუსწორდნენ ანტირასისტული მინიფესტაციის მონაწილეებს იოჰანესბურგის სოუეტოს გარეუბანში და უიარაღო ადამიანების წინააღმდეგ იარაღი და ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს. მოსახლეობაში არიან დახოცილები და დაჭრილები. ბევრი დაიპატიმრეს. ვიტვატერსრანდის უნივერსიტეტის მონაცემებით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ამწუხდეენ სამეოცდ ორასზე მეტ კაცს, მათ შორის ბავშვებს. ბოლო დროს პოლიციის ხელით უკვე დაიღუპა აპარტეიდის 2300-ზე მეტი მოწინააღმდეგე.

ᲜᲐᲛᲝᲐᲧᲕᲔᲜᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ. არგენტინის პრეზიდენტმა რაულ ალფონსინმა და აქ ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა ბრაზილიის პრეზიდენტმა ჟოზე სარნეიმ წამოაყენეს წინადადება სამხრეთ ატლანტიკის რაიონის დემილიტარიზაციისა და ბირთვული იარაღისაგან თავისუფალ ზონად მისი გადაქცევის შესახებ.

როგორც ვიზიტის შედეგების შესახებ ერთობლივ კომუნიკაშია ნათქვამი, სახელმწიფოთა მეთაურებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა გააქტიურდეს ბრძოლა მშვიდობისათვის, ბირთვული განიარაღებისა და რეგიონალური კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგებისათვის. მათ განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი არ შექმნან ბირთვული იარაღი თავიანთ ქვეყნებში და ხელი შეუწყონ რეგიონში მის გაუვრცელებლობას.

რ. ალფონსინმა და ჟ. სარნეიმ მხარი დაუჭირეს კონტადორული ჯგუფის საქმიანობას, რომლის მიზანია ცენტრალურ ამერიკაში მდგომარეობის მშვიდობიანი მოწესრიგება.

ᲤᲝᲢᲝᲤᲐᲥᲢᲘ

ᲰᲘᲠᲝᲡᲘᲛᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲓᲔᲡ!

● ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. საფრანგეთის პარლამენტის ორივე პალატამ — ეროვნულმა კრებამ და სენატმა სამოლოოდ მოიწონეს კანონპროექტი 6ᲗᲘ სამრეწველო და საფინანსო საწარმოს დენაციონალიზაციის შესახებ. მას ხმა მისცეს მემარჯვენე კოალიციის დეპუტატებმა. საფრანგეთის კომპარტიისა და სოციალისტური პარტიის ჯგუფებმა ხმა მისცეს კანონპროექტის წინააღმდეგ.

ამრიგად, უახლოეს თვეებში კერძო კაპიტალის ხელში გადავა მთელი რიგი სამრეწველო გაერთიანებანი. ეს ღონისძიება ეკონომიკის სფეროში მემარჯვენე მთავრობის კურსის საფუძველია.

ᲓᲔᲛᲐᲒᲝᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲥᲐᲚᲒᲔ

ᲐᲜᲣ ᲠᲐᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲡ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲜᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. თეთრმა სახლმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს გაუგზავნა სპეციალური მოხსენება ლიბიის წინააღმდეგ ამერიკის „ეკონომიკური სანქციების“ მდგომარეობის შესახებ. მოხსენებაში მოცემულია ის ღონისძიებათა ნუსხა, რომლებიც ბოლო ექვს თვეში განახორციელა რეგანის ადმინისტრაციამ ამ დამოუკიდებელ არაბულ სახელმწიფოზე ზეგავლენისათვის.

კერძოდ: აკრძალულია ლიბიასთან ამერიკის შეერთებული შტატების კომპანიების სავაჭრო და ფინანსური კონტაქტები, ამ ქვეყანაში ამერიკელ მოქალაქეთა გამგზავრება, ლიბიის აეროდრომებზე ამერიკის თვითმფრინავების დაჯდომა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყადაღა დაადეს არსებული ლიბიის აქტივებს, ხოლო ამერიკის ნავთობის კომპანიებს წინადადება მიეცათ შეეკვეცონ თავიანთი ოპერაციები ლიბიაში.

მოხსენების შემდგენლები იძულებული იყვნენ კონგრესისათვის ეცნობებინათ, რომ ამ სანქციების რეალიზაციისათვის ფედერალური მთავრობის მეცადინეობა ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს უკვე თითქმის 1,3 მილიონი დოლარი დაუჯდათ. ამ ღონისძიებათა შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების კერძო ბიზნესს კი უფრო სერიოზული ზარალი მოუვიდა.

როგორც ცნობილია, რაკი დარწმუნდა, რომ ლიბიის მიმართ ეკონომიკური ზეგავლენის ღონისძიებებმა ვერ გამოიწვია ამ ქვეყნის პოლიტიკის შეცვლა, ადმინისტრაციამ შეიარაღებული პროვოკაციებიც გამოიყენა, შემდეგ კი ლიბიის ტერიტორიაზე პირდაპირი აკრძალული საავიაციო რეიდები მოაწყო.

როგორც ყველაფრიდან ჩანს, ვაშინგტონის ადმინისტრაცია არ აპირებს შეცვალოს ამ ქვეყანაზე ზეგავლენის პოლიტიკა. კვლავ დემაგოგიურად ამტკიცებს, რომ „ლიბიის მთავრობის პოლიტიკა და მოქმედება წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროებისა და საგარეო პოლიტიკისადმი არაჩვეულებრივ და საგანგებო საფრთხეს“, პრეზიდენტმა რეიგანმა გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს გააგრძელოს ლიბიის საწინააღმდეგო „სანქციების“ მოქმედება.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. აქ გავრცელდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ტექნოლოგიურ შეფასებათა ბიუროს მოხსენება, რომლის ძირითადი დასკვნები ამბათილებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს წევრი ქვეყნების ხელმძღვანელთა განცხადებებს, რომ მათ სამხედრო დოქტრინებს თავდაცვითი ხასიათი აქვს. დოკუმენტში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ბოლოკის სახელმწიფოებმა [მკვეთრად უნდა გაზარდონ ეკროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალები, რათა საშუალება ჰქონდეთ ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებს დიდ სიღრმეში მიაყენონ დარტყმა.

დოკუმენტის შემდგენელთა საოცარი ლოგიკით მომავდინებელი იარაღის არსენალების გადიდება თითქოსდა შეამცირებს ბირთვული ომის წარმოშობის საფრთხეს და ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას. ამასთან, როგორც ავტორებს მიაჩნიათ, ეს გადიდება უნდა მოხდეს არა რაიმე კერძო ცვლილებებისა და მოდიფიკაციების ხარჯზე, არამედ იმ გზით, რომ განახორციელონ თვისებრივი ნახტომი და მასობრივად აღიჭურვონ ყველა სახეობის შეიარაღებული ძალების ახალი სისტემებით.

ასეთი თვალსაზრისის ერთადერთ „დასაბუთებად“ კვლავ იყენებენ თავიდან ბოლომდე ყალბ მოსაზრებებს დასავლეთის ქვეყნების „დუცველობისა“ და მეთური „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ. ამასთან, მოხსენებაში უგულებელყოფილი და დაგმობილია ევრობაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ის მიახლოებითი მონაცემებიც კი, რომლებიც ცნეს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა. ამ საკმაოდ ძველ ხერხს იყენებენ მუდამ, როცა საქმე ეხება პენტაგონელ სტრატეგთა სულ უფრო მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ᲘᲡᲔᲕ ᲙᲕᲐᲠᲙᲔᲑᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო სემინარმა „კვარკები-86“, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალ ენერგიათა ფიზიკის ინსტიტუტი და ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი.

გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალურ კორესპონდენტს ესაუბრება მაღალ ენერგიათა ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი ფ. ტყეშბოჩავა, სემინარის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

— კვარკებზე ადრეც ვუამბეთ მკითხველს, მაგრამ მოდით, კიდევ ერთხელ განვმარტოთ, როგორ ესმით ფიზიკოსებს კვარკები და რატომ ეძღვნება მათს შესწავლას ასე სისტემატურად დიდი მასშტაბის მეცნიერული ფორუმები.

გადაჭარბებად ნუ ჩამოგვართმევენ, თუ ვიტყვით, რომ კვარკი თანამედროვე ცივილიზაციის დონის ერთ-ერთი განმსაზღვრელია. ცივილიზაციის დონე ხომ, საზოგადოდ, მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებთან არის დაკავშირებული, ბოლო წლების მეცნიერული მონაპოვრებიდან კი ვერც ერთ ისეთს ვერ დავასახელებთ, კვარკების აღმოჩენას რომ ედარებოდეს.

კვარკი, ჩვენი დღევანდელი წარმოდგენით, ნივთიერების უმცირესი შემადგენელი ნაწილია

რა ვუყოთ მინის ტარას?

რედაქციისგან მრავალი კოლექტიური თუ ინდივიდუალური წერილი მიიღო მინის ტარის ჩაბარების შეწყვეტის თაობაზე. აი რას გვწერს ამაზე თბილისელი მოქალაქე ვ. ბერიძე:

— ერთი შეხედვით უმნიშვნელო წვრილმანზე გაწუხებთ, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს ისეთი წვრილმანია, ზოგჯერ უარყოფით საზოგადოებრივ აზრსა და განწყობილებას რომ ბადებს. სამე ეხება მინის ტარის ჩაბარების შეწყვეტას. ოჯახებში ადგილი აღარ არის მათ შესანახად. როდემდე გაგრძელდება ასე?

დაახლოებით ასეთივე შინაარსისაა, სხვა ავტორების წერილებიც.

ამასთან დაკავშირებით რედაქციამ მიმართა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს. მინისტრის მოადგილემ ა. ჩხეტიამ შემდეგი გვაცნობა:

რესპუბლიკაში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ადიდი რაოდენობით დაგროვდა ბოთლები მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხნებში და ღვინის საწარმოებში. ამ გარემოების ხელი შეუწყო რესპუბლიკის გარეთან მინის ტარით ვაგონების უგეგმო მოწოდებამ. ამიტომ ზემდგომმა ორგანოებმა გადაწყვიტეს დროებით შეეწყვიტათ მოსახლეობისაგან ყველა სახის მინის ტარის მიღება.

ვაჭრობის სამინისტროს სისტემის სასურსათო მაღაზიებში კი მინერალური წყლების, ლიმონათის, ლუდის და პეპსი-კოლას რეალიზაციის დროს იღებენ სამგალონი რაოდენობის ბოთლებს.

მრეწველობა კვლავ მძიმე მდგომარეობაშია, დიდი რაოდენობით დაუგროვდა ბოთლები. უმოკლეს დროში გადაწყდება მრეწველობის მიერ მინის ტარის გატანის საკითხი.

რედაქციისგან: ვაჭრობის მინისტრის მოადგილე საკითხს მთლიანად გადაწყვეტას ჯერ-ჯერობით ვერ გვპირდება, თუმცა მის პასუხში ერთგვარი იმედი მაინც გამოსჭვივის, რომ უმოკლეს დროში ეცდებიან გაიტანონ მრეწველობის მინის ტარა.

მოსახლეობისა და ჩვენთვისაც ერთი ნაწილის მთავარი საწუხარი ის არის, რომ სასმელი წყლების შეძენის დროსაც ზოგიერთი მაღაზია ბოთლებს არ იბარებს. ზოგან კი იგი უშრომელი შემოსავლის წყაროდ ქცეულა. ბოთლებს იმ შემთხვევაში ჩაიბარებენ, თუ თითოეულში ათ კაპიკს დასჯერდებიან.

ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲖᲛᲘ ᲡᲐᲕᲐᲠᲫᲔᲚᲨᲘ

ᲣᲩᲘᲜᲔᲕᲐᲩᲘᲜᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ

ხუთი წლის წინ დიდი ხნის ოცნება აგვიხდა — ყამირელების ქუჩაზე ახლადგებულ 45-ბინიან სახლში ახალმოსახლეობა ვიზეიმეთ. მაგრამ სიხარული მალე გაგვინელდა. მშენებლებს ელექტროგაყვანილობა სწორად არ დაუმონტაჟებიათ და სინათლე თამაშობს — ხან მოიმატებს, ხან დაიკლებს — გვიფუჭებს ტელევიზორებსა და მაცივრებს.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო-საეშპლოატაციო უბანმა ვერა და ვერ მოგვხედა. უტელეფონობამ ხომ გაგვაწყვალა და გაგვაწყალა. ხუთი წელია ყველა აბონენტი გადასახადს ვიხდით, მაგრამ ტელეფონი არ მუშაობს, რადგან მშენებლებმა, თურმე, ბინის ტელეფონიზაცია დაიგვიწყეს.

დიდი დევნის შემდეგ კავშირგაბმულობის საქალაქო კვანძმა, როგორც იქნა, კაბელი შეხობამდე ჩაიწყო, მაგრამ ბინებში ხაზი არ მიიყვანა. ეს ჩვენი საქმე არ არის, მშენებლებმა გააკეთონო.

ამის თაობაზე გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ 1984 წლის 11 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „ჩამწარებული სიხარული“, 1985 წლის აპრილში კი დაიბეჭდა სამხრეთ ოსეთის კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკური სამმართველოს უფროსის ი. სანაკოევის პასუხი — მშენებლებმა არ დაამონტაჟეს სატელეფონო ქსელი, რაც მათი პირდაპირი მოვალეობა იყო. ამჟამად იქ მიმდინარეობს სატელეფონო ქსელის მონტაჟი და მოკლე ხანში 45-ბინიანი სახლის აბონენტთა ტელეფონები ჩაირთვება კავშირგაბმულობის ქსელში.

გვეგონა, რაკი თვით სამმართველოს უფროსმა ასე უპასუხა გაზეთს, გვეშველებოდა. მაგრამ უფროსმაც პირი შეიცხვინა — 14 თვე გავიდა ამ დაპირების შემდეგ და ჩვენ ისევ უტელეფონოდ ვართ. გადასახადს ისევ ვიხდით, რა ვქნათ, ძალა აღმართს ხნავს, არ გვინდა დავკარგოთ ტელეფონის ნომერი, თორემ გადასაყრელი ფული ვისა აქვს?

გულს გვიკლავს ასეთი უსულგულობა და უპასუხისმგებლობა, ეს ხომ პირწმინდა ბიუროკრატიზმი და ადამიანის აბუჩად აგდებაა!

ი. კაზიევი.
ცხინვალი, უამრელების ქუჩა № 125.

ყველაფერი ნათელია — ბობოლა ბიუროკრატიზმი სავარძელში ნებივრობს. ამიტომ ი. კაზიევს წერილს კომენტარს არ გუკეთებთ, ოღონდ ერთ მოსაზრებას მივაწვდით მაკონტროლებელ ორგანიზაციებს ან სახამართლოს, იქნებ აღნიშნული სახლის მობინადრეთათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას მშენებელთა და კავშირგაბმულობის შესაბამის სამმართველოს ხელმძღვანელობას დააკისრებდნენ, რომ ერთი ახალი პრეცედენტი შექმნილიყო სხვა ბიუროკრატთა გაკვეთილად.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ—86 ● ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ—86

ᲒᲐᲠᲐᲗᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ამ დღეებში დიდი სიხარული განიცადეს წყალტუბოელმა დარეჯან, ავთანდილ და ტარიელ იოსელიანებმა. მათ მოსკოვიდან მიიღეს ძვირფასი საჩუქარი — სსრ კავშირის კოსმონავტი მურინავების, საბჭოთა კავშირის გმირების პავლე პოპოვიჩისა და გერმანე ტიტოვის ფოტოპორტრეტები მათივე ავტოგრაფებით.

მაინც როგორ მოხდა ყოველივე ეს, რა საცნობობა აკავშირებთ სახელოვან კოსმონავტებს წყალტუბოელ ახალგაზრდებთან?

ეს, ცოტა არ იყოს, შორეული ამბავია. უკვე სახელმოხვეჭილი მედიკოსი მეცნიერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო-ბიოლოგიური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე კონსტანტინე კონსტანტინეს ძე იოსელიანი, რომელიც ამჟამად ოჯახით მოსკოვში ცხოვრობს და შრომობს, ჩვენებურია. იგი სოფელ ქვილიმორში დაიბადა და აღიზარდა.

დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, კონსტანტინე იოსელიანი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბოლო კურსზე იყო. 1942 წელს, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, სამშობლოს დაცველთა რიგებში ჩადგა. იბრძოდა ჯოლოხოვის, ლენინგრადის, ბელორუსიის ფრონტებზე. ვინ მოთვლის, რამდენი მებრძოლი იხსნა სიკვდილისაგან!

ომის შემდგომ წლებში წარჩინებით დაასრულა ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის სამხედრო სამედიცინო აკადემია და სამუშაოდ მოსკოვის ერთ-ერთ სამედიცინო სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებაში გაგზავნეს.

სწორედ აქ გადიოდნენ სამედიცინო შემოწმებას პირველი საბჭოთა კოსმონავტები. კონსტანტინეს აკი კიდეც ეამაყება, რომ უშალოდ მონაწილეობდა მათს გამოცდაში. შემდეგ სამსახურებრივი ურთიერთობა მათთან ახლო მეგობრობად გადაიზარდა.

კინოდოკუმენტალისტებმა ფილმში „პირველი რეისი ვარსკვლავეთისაკენ“ იგი აღბეჭდეს იური გაგარინს გვერდით.

პენსიაზე გასვლის შემდეგ კ. იოსელიანი სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო-ბიოლოგიური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგედ დანიშნა, იგი დღესაც განაგრძობს კოსმონავტებთან მეგობრობას, თავისი წვლილი შეაქვს კოსმოსური სივრცის ათვისების პროგრამის განხორციელებაში.

აი ასე გაიბა მეგობრობის ძაფი სახელოვან საბჭოთა კოსმონავტებსა და სოფელ ქვილიმორის მკვიდრთა შორის. ეს მეგობრობა კიდევ არაერთ სიხარულს ჰპირდება პატარა ქართულ სოფელს.

დ. გედენიძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲜᲐ“ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲚ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ

დედაქალაქის ინტელიგენციის მრავალი წარმომადგენელი მიიზიდა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მორიგმა ტრადიციულმა „ხუთშაბათობამ“, რომელზეც ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა ლადო მინაშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ილია ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ შემოქმედებითი ისტორიის საკითხები“.

გაიმართა აზრთა გაზიარება. კამათში მონაწილეობდნენ: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სახლ-მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი, პროფესორი ს. ხუციშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ფ. ლომაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ბოგორიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ჭრელაშვილი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი ჯ. ლომაშვილი.

„ხუთშაბათობას“ უძღვებოდა სახლ-მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. მახარაძე.

დ. ბუზუკაშვილი.

ᲰᲐᲞᲠᲘ ᲠᲝᲛ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲘᲧᲝᲡ





ᲐᲛ ᲣᲩᲘᲜᲔᲡᲘ ᲛᲐᲜᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ — ᲛᲝᲫᲠᲐᲕ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲭᲐᲚᲐᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡᲔᲑᲨᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲗᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘ ᲙᲐᲠᲐᲕᲐᲕᲘᲩᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲘ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲜᲡᲘᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘ ᲙᲐᲠᲐᲕᲐᲕᲘᲩᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲘ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲜᲡᲘᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲘ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 27 ივლისს პარიზში 85 წლისა გარდაიცვალა ჩვენი თანამემამულე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, პროფესორი ალისტრატე ზოსიმეს ძე **სალია**, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებასა და პოპულარიზაციას საზღვარგარეთ.

კ. სალია დაიბადა 1901 წლის 28 აგვისტოს სოფელ ჯგალში (წალენჯიხის რაიონი). სწავლობდა ზუგდიდის საქალაქო სასწავლებელსა და ხაშურის გიმნაზიაში, ხოლო 1920 წელს თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. 1921 წ. დამლევს მოუხდა უცხოეთში წასვლა, დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტთან არსებული გერმანული ენის ინსტიტუტი, 1927 წელს — პარიზის უნივერსიტეტის ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტი.

დიდი ენერგიითა და ორგანიზატორული უნარით დაჯილდოებული კ. სალია, თავის მეუღლეს ნინო სალიასთან ერთად, 1948 წელს პარიზში აარსებს ქართველოლოგიურ ჟურნალს „ბედი ქართლისა“, რომელიც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, განსაკუთრებით 1957 წლიდან, როცა ჟურნალის ამოცანები გაფართოვდა, ერთადერთი სამეცნიერო ქართველოლოგიური ორგანო იყო ევროპაში. აქ იბეჭდებოდა როგორც ევროპის ცნობილი ქართველოლოგებისა და ორიენტალისტების, ისე საბჭოთა მეცნიერების წერილები. ყველაფერს, რასაც ქართველოლოგია აკეთებდა საქართველოსა თუ ევროპაში, ხსენებული ჟურნალი პირუთვნელად ასახავდა.

ფართო იყო კ. სალიას მეცნიერული ინტერესები. მის კალამს ეკუთვნის გამოკვლევები: „უძველესი ქართული სკრიპტორიუმები საზღვარგარეთ“, „ბაგრატიონთა დინასტიის წარმოშობა“, „საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობის მოკლე მიმოხილვა“, აგრეთვე ზოგადი ნარკვევი V-XX საუკუნეების ქართულ ლიტერატურაზე.

პროფესორ კ. სალიას სამეცნიერო შრომათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია პარიზში ჯერ ფრანგულად (1980 წ.), ხოლო შემდეგ ინგლისურად (1983 წ.) გამოქვეყნებული ვრცელი გამოკვლევა — „ქართველი ერის ისტორია“, რომელმაც ევროპის მეცნიერთა დიდი მეფსება და სიფრანგეთის აკადემიის ჯილდო დაიმსახურა.

ბევრი რამ გააკეთა კ. სალიამ ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გამდიდრებისათვის. მან გადმოსცა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს ცნობილი ქართველი მეცნიერების მ. წერეთლისა და მ. თარხნიშვილის გამოუქვეყნებელი შრომები, აგრეთვე ე. თაყაიშვილის წერილები.

დიდი დამსახურება მიუძღვის კ. სალიას კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ნინო სალიას სახელობის უცხოური სამეცნიერო წიგნის ფონდის შექმნაში. ინსტიტუტში დაცული ეს მდიდარი ბიბლიოთეკა დიდ სამსახურს უწევს რესპუბლიკის ჰუმანიტარული დარგის მეცნიერებს.

კ. სალია იყო უცხოეთის არაერთი სამეცნიერო საზოგადოების წევრი, აგრეთვე საქართველოს საისტორიო საზოგადოების უცხოელი საპატიო წევრი, ღვაწლმოსილი მამულიშვილი 1983 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ თავის უცხოელ საპატიო წევრად აირჩია.

მადლიერი თანამემამულეები არასოდეს დაივიწყებენ კალისტრატე სალიას დიდ დამსახურებას ქართველოლოგიის წინაშე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილება; კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ენისა და ლიტერატურის განყოფილებები და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 85 წლისა გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ქართველოლოგი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, პროფესორი

კალისტრატე ზოსიმეს ძე სალია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

თურქეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული ჟურნალი „იოლ ვე ამაჩის“ („გზა და მიზანი“) ფურცლებზე გამოქვეყნდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, პარტიის მარნეულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ნოდარ კომახიძის ვრცელი ნაშრომი „სოფლის ეკონომიკის სოციალური სტრუქტურა აღმოსავლეთ თურქეთში“.

აღნიშნული გამოკვლევა 1984 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შრომებში დაიბეჭდა. სტატიამ თავისი შინაარსით და მეცნიერული მნიშვნელობით თურქეთის კომპარტიის ხელმძღვანელთა ყურადღება მიიქცია, მათ მიმართეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს თხოვნით, ეშუამდგომლათ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წინაშე, რათა ნაშრომი მოემზადებინათ თურქული ჟურნალისთვის. თურქი ამხანაგების თხოვნა დაუყოვნებლივ შესრულდა.

ჟურნალი სტატიის მოკლე შესავალში თავის მკითხველებს აცნობს ნაშრომის ავტორის ბიოგრაფიას. ნაშრომი შეფასებულია როგორც თურქეთის ისტორიული ეკონომიკური მეცნიერების კარგი შენაძენი. აღნიშნულია, რომ ქართველი ავტორი აღმოსავლეთ თურქეთის სოფლის ეკონომიკას განიხილავს ღრმად და საფუძვლიანად, რომ მასში გამოყენებულია მეცნიერული კვლევის მოწინავე მეთოდები. („კომ“. კორ.).

ᲐᲛ ᲣᲩᲘᲜᲔᲡᲘ ᲛᲐᲜᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ — ᲛᲝᲫᲠᲐᲕ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲭᲐᲚᲐᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡᲔᲑᲨᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲗᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲜᲡᲘᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲡᲐᲛᲨᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მოძრავი ლაბორატორია ქალაქის ქუჩებში; ვაუა ივანიკაშვილი უფროს ტექნიკოს-ქიმიკოსად მუშაობს. ახლა იგი პაერის სინჯების მორიგი გაზომვის დროს მიღებულ მონაცემებს ამუშავებს; ტექნიკოს-ლაბორანტი მანანა მაჭარაშვილი და უფროსი ტექნიკოს-ქიმიკოსი ვაუა აბაშიძე.

მ. ᲓᲐᲗᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲣᲐᲒᲐᲖᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲛᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ

„ᲤᲐᲜᲢᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲐᲘᲛᲔ“

ᲙᲐᲡ�პᲐᲠᲝᲕᲘ-ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘᲡ მეორე, გადადებულ პარტიას, ალბათ, მთელი საშადრაკო სამყარო არ ჩვედა. „ცხელ გულზე“ კომენტატორებს გამორჩათ, რომ კასპაროვს ეტლის არცთუ ისე ძნელად მისაგნები მანევრით 39-ე სვლაზე შეეძლო დაუყოვნებლივ მოეგო, შემდეგ კი გადადებულ პარტიაში, მსოფლიო ექს-ჩემპიონ ტალის სიტყვით რომ ვთქვათ, „ფანტასტიკური ყაიმი“ აღმორნდა.

მართლაცდა, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ კარპოვი შეძლებდა ლაზიერის ფრთაზე მეტოქის ორი გამსვლელი პაიკის შეჩერებას. მან არა მარტო ეს მოახერხა, არამედ ერთი მთგანი მოიგო კიდეც. ცხადი გახდა, რომ მსოფლიო ჩემპიონს აღარ შეეძლო მოგებაზე თამაში. ერთხანს იგი მაინც შეეცადა გაეგრძელებინა ბრძოლა, მაგრამ კარპოვი ბოლომდე ზუსტად იცავდა თავს. 52-ე სვლაზე ამ შეხვედრაში ყაიმი აღინიშნა.

პარტია გადადებული იყო ასეთ პოზიციაში: კასპაროვი (თეთრები) — 1. e2e4, e7e6, 2. d2d4, d7d5, 3. e4xd5, e6xd5, 4. c2c4, d5xc4, 5. a2a3, b7b5, 6. b2b4, a7a5, 7. b4xa5, d8xd1+, 8. Kd1xd1, Kb8d7, 9. Kb1d2, Kg8f6, 10. e2e3, Kf6xe4, 11. Kd2xe4, Kd7xe5, 12. Kf3xe5, Ba6xe5, 13. Kc3xe4, Be5d6, 14. Ke4xc5, Bd6xc5, 15. Bc1d2, Bc5d6, 16. Bf1d3, Kb8d7, 17. 0-0, 0-0, 18. Rf1e1, Bc8d7, 19. Ra1c1, Rf8e8, 20. Bd3xf6, Kd7xf6, 21. Kc5e4, Bd6e7, 22. Be2f3, Rd8d7, 23. Rc1c7, Re8d8, 24. Be4xf5, Rd7xd2, 25. Rc7xb7, Rd2d3, 26. Rb7xb6, Rd8d2, 27. Rb6b7, Rd2d8, 28. Rb7b8, Rd8d2, 29. Rb8b7, Rd2d8, 30. Rb7b8, Rd8d2, 31. Rb8b7, Rd2d8, 32. Rb7b8, Rd8d2, 33. Rb8b7, Rd2d8, 34. Rb7b8, Rd8d2, 35. Rb8b7, Rd2d8, 36. Rb7b8, Rd8d2, 37. Rb8b7, Rd2d8, 38. Rb7b8, Rd8d2, 39. Rb8b7, Rd2d8, 40. Rb7b8, Rd8d2, 41. Rb8b7, Rd2d8, 42. Rb7b8, Rd8d2, 43. Rb8b7, Rd2d8, 44. Rb7b8, Rd8d2, 45. Rb8b7, Rd2d8, 46. Rb7b8, Rd8d2, 47. Rb8b7, Rd2d8, 48. Rb7b8, Rd8d2, 49. Rb8b7, Rd2d8, 50. Rb7b8, Rd8d2, 51. Rb8b7, Rd2d8, 52. Rb7b8, Rd8d2, 53. Rb8b7, Rd2d8, 54. Rb7b8, Rd8d2, 55. Rb8b7, Rd2d8, 56. Rb7b8, Rd8d2, 57. Rb8b7, Rd2d8, 58. Rb7b8, Rd8d2, 59. Rb8b7, Rd2d8, 60. Rb7b8, Rd8d2, 61. Rb8b7, Rd2d8, 62. Rb7b8, Rd8d2, 63. Rb8b7, Rd2d8, 64. Rb7b8, Rd8d2, 65. Rb8b7, Rd2d8, 66. Rb7b8, Rd8d2, 67. Rb8b7, Rd2d8, 68. Rb7b8, Rd8d2, 69. Rb8b7, Rd2d8, 70. Rb7b8, Rd8d2, 71. Rb8b7, Rd2d8, 72. Rb7b8, Rd8d2, 73. Rb8b7, Rd2d8, 74. Rb7b8, Rd8d2, 75. Rb8b7, Rd2d8, 76. Rb7b8, Rd8d2, 77. Rb8b7, Rd2d8, 78. Rb7b8, Rd8d2, 79. Rb8b7, Rd2d8, 80. Rb7b8, Rd8d2, 81. Rb8b7, Rd2d8, 82. Rb7b8, Rd8d2, 83. Rb8b7, Rd2d8, 84. Rb7b8, Rd8d2, 85. Rb8b7, Rd2d8, 86. Rb7b8, Rd8d2, 87. Rb8b7, Rd2d8, 88. Rb7b8, Rd8d2, 89. Rb8b7, Rd2d8, 90. Rb7b8, Rd8d2, 91. Rb8b7, Rd2d8, 92. Rb7b8, Rd8d2, 93. Rb8b7, Rd2d8, 94. Rb7b8, Rd8d2, 95. Rb8b7, Rd2d8, 96. Rb7b8, Rd8d2, 97. Rb8b7, Rd2d8, 98. Rb7b8, Rd8d2, 99. Rb8b7, Rd2d8, 100. Rb7b8, Rd8d2, 101. Rb8b7, Rd2d8, 102. Rb7b8, Rd8d2, 103. Rb8b7, Rd2d8, 104. Rb7b8, Rd8d2, 105. Rb8b7, Rd2d8, 106. Rb7b8, Rd8d2, 107. Rb8b7, Rd2d8, 108. Rb7b8, Rd8d2, 109. Rb8b7, Rd2d8, 110. Rb7b8, Rd8d2, 111. Rb8b7, Rd2d8, 112. Rb7b8, Rd8d2, 113. Rb8b7, Rd2d8, 114. Rb7b8, Rd8d2, 115. Rb8b7, Rd2d8, 116. Rb7b8, Rd8d2, 117. Rb8b7, Rd2d8, 118. Rb7b8, Rd8d2, 119. Rb8b7, Rd2d8, 120. Rb7b8, Rd8d2, 121. Rb8b7, Rd2d8, 122. Rb7b8, Rd8d2, 123. Rb8b7, Rd2d8, 124. Rb7b8, Rd8d2, 125. Rb8b7, Rd2d8, 126. Rb7b8, Rd8d2, 127. Rb8b7, Rd2d8, 128. Rb7b8, Rd8d2, 129. Rb8b7, Rd2d8, 130. Rb7b8, Rd8d2, 131. Rb8b7, Rd2d8, 132. Rb7b8, Rd8d2, 133. Rb8b7, Rd2d8, 134. Rb7b8, Rd8d2, 135. Rb8b7, Rd2d8, 136. Rb7b8, Rd8d2, 137. Rb8b7, Rd2d8, 138. Rb7b8, Rd8d2, 139. Rb8b7, Rd2d8, 140. Rb7b8, Rd8d2, 141. Rb8b7, Rd2d8, 142. Rb7b8, Rd8d2, 143. Rb8b7, Rd2d8, 144. Rb7b8, Rd8d2, 145. Rb8b7, Rd2d8, 146. Rb7b8, Rd8d2, 147. Rb8b7, Rd2d8, 148. Rb7b8, Rd8d2, 149. Rb8b7